ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 14 აგვისტო, 2017 №191 (7426) ფასი: 50 თეთრი



გვ.4

## სანდრო ბრეგაძე: „ნარკორეალიზაციაში ცნობადი სახეები არიან ჩართული“

10 აგვისტოდან

100 წიგნი

ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო




პინოჩეტი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

# მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილს საქართველოში ჩემი ჩასვლის ეშინია“



ქართველი ხალხი, რომელსაც უკვე საკმაო მასალა აქვს ჩემი მმართველობის შესადარებლად ოლიგარქიულ ჩაგვრასთან, გამოვა ქუჩაში და გახვეტს მათ, როგორც კი თბილისში გამოვჩნდები. მაგრამ მე მაქვს უახლოესი გეგმები, რომლებიც უკავშირდება უკრაინასა და მის გათავისუფლებას მოლდოველი და დონეცკელი ოლიგარქებისგან



გვ.2

## თამაზ მეჭიაური: „ივანიშვილი პოლიტიკას გაემიჯნა“





## „ქართულ ოცნებაში“ პარადი დავარცხნილ ნაცებს მიჰყავთ“



გვ.3

## ვახტანგ ძაბირაძე: „საქართველოში პოლიტიკური რესურსი მხოლოდ ორ პარტიას თუ გასწვდება“

## რატომ წაართვა რუსეთმა სამ მართლმადიდებელ ქვეყანას ტერიტორიები

გვ.4



ჯონდი ბაღათურია: „საქართველოსაც, უკრაინასაც და მოლდოვასაც ნატოში შესვლა უნდათ“

## ანზორ აბრალავა: „საქართველოს სახელმწიფოებრიობა საფრთხეშია“



გვ.3

„აშშ თავისი ძალებით უნდა დაგვეხმაროს“

ISSN 1987-9385

## თბილისში აზოტის დიოქსიდით ყველაზე მეტად დაბინძურებული უბნები ცნობილია

გვ.6

# მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილს საქართველოში ჩემი ჩასვლის ეშინია“

შორენა მარსაგიშვილი





უმიწაწყლო და მოქალაქეობაწარკვეთილი სააკაშვილი, ევროპაში მოგზაურობის გარდა, საქართველოსა და უკრაინაში მთავარ თემად ყოფნასაც ახერხებს. უკრაინულმა საიტმა სტრანა.უა-ს მიერ გამოქვეყნებული მასალიდან ირკვევა, რომ საქართველოს ხელისუფლება ნაპრეზიდენტალის საქართველოში ექსტრადირებით დაინტერესებული არ არის.

რამდენიმე თვის წინ ყოფილმა პოლიტდევნილმა გიგლა ბარამიძემ „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება სააკაშვილის ექსტრადირებით დაინტერესებული არ არის. ამაზე „ოცნებას“ მკვეთრი რეაქცია ჰქონდა. მეოცნებეთა მტკიცებით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ყოფილი პრეზიდენტი ქართული მართლმსაჯულების წინაშე წარდგეს.

მოგვიანებით, პეტრო პოროშენკოს საქართველოში ვიზიტის დროს, ჩვენმა პროკურატურამ განცხადება გაავრცელა, სადაც აცხადებენ, რომ კიევს სააკაშვილის ექსტრადირების მოთხოვნით ორჯერ მიმართეს.

უკრაინულ საიტებზე საქართველოსთან დაკავშირებით არაერთი საუბრის ჩანაწერი გამოქვეყნდა. რამდენიმე ჩანაწერზე სუს-მა გამოძიებაც კი დაიწყო. იმ ჩანაწერებს ნაციონალები „ოცნების“ დაკვეთილს უწოდებდნენ. ხელისუფლება კი ამ ყველაფერს ნდობით ეკიდებოდა.

ბოლო ჩანაწერთან დაკავშირებით ვითარება შეცვლილია. „ოცნება“ ამ ყველაფერს ბოდვად მიიჩნევს, ნაციონალები კი სტრანა.უა-ს მიერ გამოქვეყნებულ ჩანაწერს უპირობო ნდობას უცხადებენ.

უკრაინულმა საიტმა გაავრცელა აუდიოჩანაწერი, რომელშიც, ცნობილი რუსი ,,პრანკერების“ (სატელეფონო ხულიგნები) „ვოვანისა“ და „ლექსუსის“ მტკიცებით, „ლექსუსი“ საქართველოს შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილს უკრაინის შს მინისტრ არსენ ავაკოვის სახელით ესაუბრება.

აუდიოჩანაწერის თანახმად, გიორგი მღებრიშვილი ექსპრეზიდენტს უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებს და უკრაინულ მხარეს სთხოვს, არ გადმოსცენ ის საქართველოს. ჩანაწერის თანახმადვე, ვითომდა გიორგი მღებრიშვილი ამბობს, რომ ეს პოზიცია საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან არის შეთანხმებული.

შსს არსენ ავაკოვისა და გიორგი მღებრიშვილის სატელეფონო საუბარს კატეგორიულად უარყოფს.

საქართველოს შსს-ს განცხადებას „ლექსუსი“, იგივე ანდრეი სტოლიაროვი ეხმაურება და აცხადებს, რომ მზად არის გადასცეს ექსპერტიზას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილთან სატელეფონო საუბრის ჩანაწერი.

> **ქართველი ხალხი, რომელსაც უკვე საკმაო მასალა აქვს ჩემი მმართველობის შესადარებლად ოლიგარქიულ ჩაგვრასთან, გამოვა ქუჩაში და გახვეტს მათ, როგორც კი თბილისში გამოვჩნდები. მაგრამ მე მაქვს უახლოესი გეგმები, რომლებიც უკავშირდება უკრაინასა და მის გათავისუფლებას მოლდოველი და დონეცკელი ოლიგარქებისგან**





მისი თქმით, ის პირველი არ არის, ვინც უარყოფს გამასხარავების ფაქტს და დასძენს. რომ მზად არის, მღებრიშვილის პირადი ტელეფონის ნომერი გამოაქვეყნოს.

მღებრიშვილის უწყების უარყოფის მიუხედავად, ამ ჩანაწერს საქართველოში საყოველთაო ჟრიამული მოჰყვა.

„ახალი საქართველოს“ თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე, რომელიც, ამავე დროს, პოროშენკოს მრჩეველია, აცხადებს, რომ შს მინისტრმა ეს საქმე აუცილებლად უნდა გამოიძიოს.

– იმედს ვიტოვებ, რომ ეს, რაც მოვისმინეთ ჩვენ, მართლაც იყო ყალბი ჩანაწერი, მაგრამ, ყველა კითხვა რომ მოიხსნას, პირადად შინაგან საქმეთა მინისტრის ღირსებაა, რომ ეს გამოიძიოს და მე იმედი მაქვს, რომ ამ ღირსების გამო ამ საქმეს მაინც გამოიძიებენ და ასე ჰაერში არ გამოკიდებენ ამ სატელეფონო საუბარს. სხვა შემთხვევაში შემიძლია ვთქვა, რომ თუ ეს ნამდვილია, მართლა საბავშვო ბაღში ვართ, – აცხადებს გიორგი ვაშაძე.

ჩანაწერის სინამდვილეში ეჭვი არ ეპარება ნაციონალურ მოძრაობას. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, დეპუტატ რომან გოცირიძის განცხადებით, ეს სატელეფონო საუბარი კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილის ეშინია.

– დარწმუნებული ვარ, ეს იყო რეალური საუბარი. სასწრაფოდ უნდა დაინიშნოს გამოძიება, შესწავლილ უნდა იქნეს ფირი. ამ ჩანაწერით ვლინდება, რომ საქართველოს ხელისუფლებას ძალიან ეშინია მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნების, ის, რომ მთელი ეს პროცესი არის უკანონო და სავსებით სამართლიანად თვლიან ისინი, რომ ამას მოჰყვება ძალიან დიდი სახალხო მღელვარება და ეს შეიწირავს ამ ხელისუფლებას.

ეს არის შიში მათ თვალებში, შიში, პირველ რიგში, მათი არაკანონიერი ქმედების გამო. ქალბატონი წულუკიანი ატყუებს მოსახლეობას და სინამდვილეში აგულიანებს თავის მომხრეებს, რომ სააკაშვილს გაუმკლავდებიან. ამ დროს კი ექსტრადიციის მოთხოვნაზე წერილიც კი არ არის გაგზავნილი პოლონეთში, – განაცხადა დეპუტატმა.

ჩანაწერს ყოფილი დეპუტატი და „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გივი თარგამაძე ფეისბუქზე გამოეხმაურა. ის აშკარად ღადაობის გუნებაზე იყო.

– უბრალოდ, ბალასტი მეგონა. კომუტატორიც ყოფილა. დაურეკავ სამტერეთიდან, მოყვრად წარუდგები, შენთვის საჭირო ამბებს ჰკითხავ. რაც იცის, იქვე ჩაგიკაკლავს. დანარჩენის დაზუსტებას დაგპირდება. შენ ვისაც ვერ ურეკავ, თვითონ დაურეკავს, გამოჰკითხავს. ვისაც თვითონ ვერ ურეკავს, სხვას დაარეკვინებს. მოკლედ, არ დაგზარდება. სრულ სურათს აგიწყობს, გადმოგირეკავს და მოგართმევს. კარგი ბიჭია, ნაღდი თბილისელი, სუფრაც იცის და პატივისცემაც, – წერს გივი თარგამაძე.

თავისი პოზიცია ამ საუბრის მთავარმა თემამ – მიხეილ სააკაშვილმაც დააფიქსირა. სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ხელისუფლებას მისი ეშინია და ივანიშვილს მისი აქ ხილვა არ სურს.

– რუსი ოლიგარქის, ივანიშვილის მინისტრმა „ავაკოვთან“ საუბარში აღიარა ის, რასაც მე ყოველთვის ვამბობდი: ყველა საქმე ჩემ წინააღმდეგ ფაბრიკაციაა და წმინდა პოლიტიკური ხასიათი აქვს. ივანიშვილს საქართველოში ჩემი ჩასვლის ეშინია, რამდენადაც ქართველი ხალხი, რომელსაც უკვე საკმაო მასალა აქვს ჩემი მმართველობის შესადარებლად ოლიგარქიულ ჩაგვრასთან, გამოვა ქუჩაში და გახვეტს მათ, როგორც კი თბილისში გამოვჩნდები. მაგრამ მე მაქვს უახლოესი გეგმები, რომლებიც უკავშირდება უკრაინასა და მის გათავისუფლებას მოლდოველი და დონეცკელი ოლიგარქებისგან, – წერს მიხეილ სააკაშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

❖ ❖ ❖

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ შესაძლოა ეს ყველაფერი გიორგი მღებრიშვილის წინააღმდეგ იყოს „გაჩალიჩებული“. „ოცნებაში“ უკვე დიდი ხანია ამბობენ, რომ მან თანამდებობა უნდა დატოვოს.

## თენგიზ ფხალაძე: „ვხედავთ, როგორი „სტაბილურობა“ მოაქვს პუტინის ვოიაჟებს აფხაზეთში“

საგარეო საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი თენგიზ ფხალაძე ოკუპირებულ აფხაზეთში, ხურჩა-ნაბაკევის მონაკვეთზე მავთულხლართების გავლებას გამოეხმაურა.

ფხალაძის განცხადებით, ეს ფაქტი პირდაპირ უკავშირდება რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის 8 აგვისტოს აფხაზეთში ვიზიტს.

– საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უხეშად ხელყოფის კიდევ ერთი ფაქტის მომსწრე გავხდით. მით უმეტეს აღმაშფოთებელია და განსაკუთრებული ცინიზმით არის აღსავსე ეს ნაბიჯი, როდესაც ყველაფერი ხორციელდება იმ ე.წ. ვიზიტის ფონზე, როდესაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი იმყოფებოდა ოკუპირებულ აფხაზეთში და ჩვენ ვხედავთ, როგორი „სტაბილურობა“ მოაქვს მის ასეთ ვოიაჟებს, – განაცხადა ფხალაძემ.

შეგახსენებთ, 11 აგვისტოს ცნობილი გახდა, რომ ხურჩა-ნაბაკევის მონაკვეთზე ე.წ. მესაზღვრეებმა მავთულხლართები გააბეს.

მედიანიუსი



## პატრიოტთა ალიანსმა თბილისის მერობის კანდიდატად შესაძლოა ირმა ინაშვილი წარადგინოს



ირმა ინაშვილმა მედიასთან საუბარში დაადასტურა, რომ პარტიაში მერობის ოთხი კანდიდატურა განიხილება, მათ შორის – მისიც.

ინაშვილის თქმით, დღეს, 14 აგვისტოს, პოლიტსაბჭოს სხდომაზე გადაწყდება, თუ რომელი კანდიდატი იქნება მხარდაჭერილი თბილისის მერობის პოსტზე წარსადგენად.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ანზორ აბრალავა: „საქართველოს სახელმწიფოებრიობა საფრთხეშია“

## „აშშ თავისი ძალებით უნდა დაგვეხმაროს“

მარიამ მჭედლიშვილი

პარტია თავისუფალი დემოკრატები მუშაობს კანონპროექტზე, რომელიც, ხელისუფლების გარდა, ყველას აუკრძალავს ოკუპანტ სახელმწიფოსთან ურთიერთობას. პატრიოტთა ალიანსი კი ხელისუფლებისაგან მოითხოვს რუსეთთან დიალოგის ხელშეწყობას ყველა დონეზე. „ახალი თაობა“ ამ საკითხებზე ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.

**ანზორ აბრალავა:**

– ასეთი ინიციატივები გასაკვირი არ არის იმ ურთულეს სიტუაციაში, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა. სხვადასხვა პარტია განსხვავებულად ხედავს გამოსავალს. ყველაზე სახიფათოა, როცა პოლიტიკური ორგანიზაცია აკეთებს რუსეთის საქმეს რუსეთთან დაპირისპირების საფარქვეშ.

***– ვინ გყავთ მხედველობაში?***

– ახლანდელი და ყოფილი ნაციონალები. ნაცმოძრაობა ისევ ბევრ რამეს აფუჭებს და აშანტაჟებს ხელისუფლებას, სხვებს ეძახის მოღალატეებს. ერთი რამ ვერ გამიგია – თუ სააკაშვილს ჰქონდა უფლება, შეხვედროდა პუტინს, შოიგუს და მას მოღალატეობას არავინ აბრალებდა, სხვებს რატომ არა აქვთ შეხვედრების უფლება? კაპიტულანტური ნაბიჯები არავის უხარია. გერმანიას კაპიტულაცია 1918 წელსაც მოუხდა. საქართველოსთვის ახლა აუცილებელია მისი პრობლემატიკის აქტუალიზაცია მსოფლიოში.

***– ტერიტორიული მთლიანობის პრობლემაზე საუბრობთ?***

– ტერიტორიულ მთლიანობასა და სტაბილურობაზე. არ მინდა, მოხდეს ამ საკითხების პალესტინიზაცია. ეს ნიშნავს გადაუჭრელ პრობლემას.

***– ბოლო თვეებში აშშ-ის კონგრესმა და პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საქართველოს პრობლემები წინ წამოსწიეს და ქვეყნის მიმართ დიდი მხარდაჭერა გამოხატეს.***

– ეს აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი გადაწყვეტილებებია. ჩვენ გვჭირდება აუცილებელი და საკმარისი ნაბიჯები, კონკრეტული, რეალური მოქმედებები.

***– აშშ-ის მხრიდან?***

– ჩვენი ხსნა ამ სიტუაციაში მხოლოდ აშშ-ს შეუძლია. უნდა დავდოთ ორმხრივი ხელშეკრულება სამხედრო სფეროში. ამერიკელი სამხედროები უნდა განთავსდნენ საქართველოში სამშვიდობო ან სხვა ფორმატით. უბედურებაა, როცა საგარეო საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებენ ადამიანები, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ ისტორიაზე.

***– საქართველოს ხელისუფლება ასე იქცევა?***

– ადრე ამა თუ იმ ხელისუფლებას დაუშვია შეცდომები. ბოლო დროს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, პირადად მინისტრი კარგად მუშაობენ. მათ მეტს ვერ მოსთხოვ. ახლა ჯერი ჩვენს მოკავშირეებზეა.

***– აშშ საქართველოს თავდაცვის უფრო მეტად გაძლიერებას ჰპირდება.***

– ჩვენ ისეთ მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ საშველი ამაში არ არის. ამერიკა თავისი რესურსით უნდა დაგვეხმაროს. როგორ წარმოგიდგენიათ, რა მოჰყვება, იმას, თუ გაძლიერებულები ომს დავუწყებთ რუსეთს? გადავხედოთ ისტორიას. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველომ ბევრი რამ გადაიტანა – 1914 წელს ჯერ გერმანელები შემოვიდნენ, შემდეგ ინგლისელები, რომლებმაც 1921 წელს რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ თითიც არ გაანძრიეს და საქართველო რუსეთს შეატოვეს. ამ მოვლენებს უკვე უწოდებენ სამგვარ, სამჯერად ოკუპაციას.



***– რუსეთთან კონტაქტების შეზღუდვის ინიციატივას როგორ აფასებთ?***

– თუ ქვეყანას სჭირდება, დიალოგზე უნდა წახვიდე! რუსეთთან დიალოგი, პირველ რიგში, ხელისუფლების საქმეა, მაგრამ, თუ ხელისუფლება ამას ვერ ახერხებს და ვინმე კონტაქტებს ამყარებს მოსკოვთან, ეს დასჯადი არ უნდა გახდეს. დიალოგისას უნდა გავიგოთ, რა უნდა რუსეთს.

***– თქვენი აზრით, რა პრეტენზია აქვს რუსეთს?***

– რუსეთს, ალბათ, პირველ რიგში, ბაზების საკითხი აღელვებს.

***– ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთს აქვს ბაზები.***

– რუსეთს სარფთანაც უნდა სამხედრო ბაზა. კრემლი ცდილობს, აღადგინოს რუსეთის საზღვრები, რომელიც მონარქიის პერიოდში ჰქონდა. ნატო საქართველოში ვერ შემოვა. ეს რომ მოხდეს კიდეც, ნატოს სახით საქართველოში მოვა თურქეთი. ამას საქართველოს მოსახლეობა აღიქვამს ოკუპაციად. ევროპა ვერ გვიხსნის. ჩვენ აშშ უნდა დაგვეხმაროს. ნაცმოძრაობა ამ რთულ სიტუაციაში თავის დანაშაულს სხვებს აბრალებს, დიალოგს ბლოკავს და იმაზეც ისტერიკას ტეხს, რომ სააკაშვილს გაფლანგულ თანხებს ედავებიან.

***– სააკაშვილს საქმის განხილვისას ოფიციალური ვიზიტების დროს დახარჯულ თანხებსაც უთვლიან. ამით ნაცმოძრაობას საშუალებას აძლევენ, ქულები დაიწეროს და თავისი ლიდერი გაამართლოს.***

– გეთანხმებით. სააკაშვილი წარსულს ბარდება, მაგრამ მისი ნაცმოძრაობა ისევ ცხადდება პირველ ოპოზიციურ ძალად. რომან გოცირიძეს საშუალება ეძლევა, დაიცვას სააკაშვილი. პუტჩის მონაწილე რომან გოცირიძეს, რომელმაც თავის დროზე საცხოვრებელი ბინა ხელმოწერის გაყალბებით ჩაიგდო ხელში, ხმა არა აქვს ამოსაღები, მაგრამ მის გააქტიურებას ხელს უწყობენ. სააკაშვილს არაერთი მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი და მას ამაზე კანონის შესაბამისად პასუხი უნდა მოსთხოვონ.

***– ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემას დავუბრუნდეთ. რუსეთის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მოსკოვი განსაკუთრებულად აძლიერებს სამხრეთის სამხედრო ოლქს.***

– ამ განცხადებების გარეშეც ნათელია, რომ რუსეთი ჩვენს რეგიონში აქტიურია. მცოცავი ოკუპაცია მიმდინარეობს შიდა ქართლსა და შამგონა-ნაბაკევის მიდამოებში. თუ ამერიკამ არ იმოქმედა, საქართველო მალე სახელმწიფო აღარ იქნება. ამერიკული ტექნიკის ჩავლით ჩვენს ტერიტორიაზე რუსეთი არ გაჩერდება. საქართველოს სახელმწიფოებრიობა საფრთხეშია.

# ვახტანგ ძაბირაძე: „საქართველოში პოლიტიკური რესურსი მხოლოდ ორ პარტიას თუ გასწვდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, რა პროცესი მიმდინარეობს დღეს ოპოზიციაში? რამდენად დალაგდება თვითონ ოპოზიცია წინასაარჩევნოდ, თუ ეს უფრო ხანგრძლივი პროცესია?***

– ოპოზიცია ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია. სამწუხაროა, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებიდან ერთი წლის შემდეგაც ოპოზიციამ ვერ შეძლო ჩამოყალიბება. მეტიც, ისეთივე დაბნეულია, როგორც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იყო. საკმარისი დრო იყო საიმისოდ, რომ გამორკვეულიყვნენ და გარკვეული ფორმა მისცემოდა ოპოზიციას. დღეს ოპოზიცია ისეთივე უფორმოა, როგორც ეს არჩევნების შემდეგ იყო, მეტად დაშლილი, დანაწევრებული, ფრაგმენტირებული.

***– საერთოდ ჩამოყალიბდება, გარკვეული გადაჯგუფება მოხდება?***

– ჩამოყალიბება ალბათ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ მოხდება. ადგილობრივ არჩევნებზე სიურპრიზს არ უნდა ველოდოთ, ყველაფერი ძველი სცენარით მოხდება, რადგან ახალსა და მოულოდნელს ოპოზიცია ვერ შემოგვთავაზებს. გულწრფელად რომ გითხრათ, არც ველოდი, რომ ჩამოყალიბება, ერთგვარი დალაგება მოხდებოდა ოპოზიციურ ფლანგზე. ეს საკმაოდ რთული პროცესია. მე მაინც მგონია, რომ ამ ადგილობრივ არჩევნებზეც ოპოზიციას ისეთივე კატასტროფული შედეგები ელოდება, როგორც ეს იყო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. ამის შემდეგ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ან უნდა განაცხადონ, რომ პოლიტიკიდან მიდიან, ისეთივე სტილში, როგორც ეს თავისუფალი დემოკრატების ლიდერებმა გააკეთეს, ან რაღაც უნდა მოიფიქრონ და გამოსავალი იპოვონ.

***– შეიძლება, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ორპარტიული სისტემა შემოვიდეს. შეიძლება, საკონსტიტუციო ცვლილებაც, საარჩევნო ბლოკების აკრძალვა, ამის წინაპირობა იყოს?***

– ჩვენ უფრო ახლოს ვართ ევროპულ სისტემასთან, სადაც არა – ორპარტიული, არამედ მრავალპარტიული სისტემაა. რაც შეეხება ბლოკების აკრძალვას, ეს სულაც არ არის გამოწვეული იმით, რომ ორპარტიული სისტემა ჩამოყალიბდეს. ეს გამოწვეულა იმით, რომ ხელისუფლებაში ოპოზიცია მხოლოდ ბლოკის სახით, გაერთიანებულად მოდიოდა. ერთი რომელიმე პარტია ვერასდროს გახდება ხელისუფლების საპირწონე. ვფიქრობ, აქედან გამომდინარე ხდება ეს ცვლილება და არა პარტიების გამსხვილების მიზნით. ასეთი მექანიკური ჩარევებით პარტიების გამსხვილება და გაძლიერება არ ხდება. ამისთვის სხვა მოცემულობებია საჭირო.





ისე, გულწრფელად რომ გითხრათ, საქართველოში პოლიტიკური რესურსი მხოლოდ ორ პარტიას თუ გასწვდება. არ ვგულისხმობ, დილით რომ გაიღვიძებენ და პარლამენტის წევრობა ან პოლიტიკოსობა რომ მოუნდებათ. თუმცა, არა მგონია, ნაციონალური მოძრაობა, გნებავთ, ერთიანი ან გაყოფილი, იყოს მეორე პარტია. არჩევნების შედეგებით კი არის მეორე, მაგრამ პერსპექტივაში ელექტორატის ნაციონალური მოძრაობისადმი დამოკიდებულება მკაცრად დიფერენცირებულია. ამიტომ, არა მგონია, რომ ნაციონალური მოძრაობა ოდესმე გახდეს ხელისუფლების რეალური საპირწონე. ეს რესურსი მათ არ აქვთ. თუმცა, ცხადია, ისინი საპირისპიროს ფიქრობენ, დღეს თუ არა ხვალ, ჩვენ ვიქნებით, რადგან სხვა არ არის. ასეთია მათი ფიქრები.

***– თუ მართლაც არ არის?***

– ასეთი მიდგომა პოლიტიკაში არასწორია, რადგან, დღეს თუ არ არის, აუცილებლად გამოჩნდება, როგორც თავის დროზე გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, სრულიად მოულოდნელად.

***– რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, რა პროცესებს უნდა ველოდოთ სახელისუფლებო პარტიაში? მოვისმინე მოსაზრება, რომ თუ ამომრჩეველმა ივანიშვილის დისტანცირება დაინახა ამ პარტიისგან, მაშინ ეს პარტია შიგნიდანვე დაიშლება. ამ ვერსიას ეთანხმებით?***

– თუ უახლეს პოლიტიკურ წარსულს გავიხსენებთ, არ მახსენდება, რომ სახელისუფლებო პარტია დაშლილიყოს. 2002-2003 წლებში „მოქალაქეთა კავშირს“, მმართველ პარტიას, ძალიან ძლიერი პოლიტიკური გუნდი გამოეყო, მაგრამ პარტია არ დაშლილა. ივანიშვილი რომ გამოვიდეს და თქვას, რომ არათუ „ქართულ ოცნებას“, არამედ საქართველოსაც ტოვებს, ეს კი გამოიწვევს გარკვეულ რყევებს, მაგრამ, არა ისეთს, რომ პარტია დაიშალოს.

***– ივანიშვილის ფაქტორი არანაირ გავლენას არ ახდენს „ქართულ ოცნებაზე“, მის განვითარებაზე ან პირიქით?***

– არა, ახდენს დღეს, მაგრამ, მომავალში როგორ იქნება, რთული სათქმელია. პარტია გააგრძელებს ჩამოყალიბებას, მაგრამ პარტიის შიგნით რომელი გუნდი აიღებს სადავეებს ხელში, ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული.

არის მეორე ვერსიაც: თუ ივანიშვილი წამოვიდა „ქართული ოცნებიდან“, ოპოზიციაში გადავიდა და თავიდან დაიწყო პროცესი, ახალი გუნდი ჩამოაყალიბა, მიუხედავად ამისა, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ფარ-ხმალს დაყრის. ასე არ იქნება, რადგან ძალაუფლება საკმაოდ მიმზიდველი რამეა, თანაც კარგად არის ეს გუნდი ძალაუფლების შენარჩუნებას ჩაბღაუჭებული. გადახედეთ საკონსტიტუციო ცვლილებებს და მიხვდებით, რამდენად დამყოლია მმართველი პარტია და რამდენად არის წამსვლელი, რომ ძალაუფლება ხელიდან გაუშვას.

## დღეიდან მარიამობის მარხვა იწყება



დღეიდან მარიამობის მარხვა იწყება, რომელიც ორი კვირა გაგრძელდება. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში შეკრებილ მრევლს მშვიდობიანი მარიამობის გათენება უსურვა.

პატრიარქის თქმით, შაბათს არის ფერისცვალება, პარასკევს საღამოს სამების საკათედრო ტაძარში იქნება ლოცვა, ხოლო წირვა მცხეთის სამთავროს მონასტერში ჩატარდება.

# სანდრო ბრეგაძე: „ნარკორეალიზაციაში ცნობადი სახეები არიან ჩართული“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში არსებულ ნარკოპოლიტიკას „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მოძრაობა ეროვნულების ლიდერი, ქართველთა მარშის ერთ-ერთი ორგანიზატორი სანდრო ბრეგაძე აფასებს.



***– ბატონო სანდრო, ნარკოპოლიტიკა ერთ-ერთი აქტუალური თემაა დღეს ჩვენს ქვეყანაში. საზოგადოების ნაწილი კანონის ლიბერალიზაციასა და ნარკოტიკის ლეგალიზაციას მოითხოვს, დიდი ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის ეს დამღუპველი იქნება. რას ფიქრობთ თქვენ, თუ ბოლო პერიოდის პროცესებსაც გავითვალისწინებთ, იმას, რაც ანაკლიაში ჯემფესტზე მოხდა?***

– დღეს მიმდინარეობს მიზანმიმართული გენოციდი ქართველი ერისა და ქართველი ახალგაზრდობის. ეს არის ჩვენი შვილების, ჩვენი მომავალი თაობის განადგურების მცდელობა. ჩემდა სამწუხაროდ, ღიად უნდა ითქვას, ამ ნარკობარიგობაში, ნარკორეალიზაციაში აქტიურად არიან ჩაბმული საზოგადოების ე.წ. ცნობადი სახეები.

***– ცნობად სახეებში ვის გულისხმობთ?***

– ე.წ. ბომონდის წარმომადგენლები, ხელოვნების წარმომადგენლები ანუ ადამიანები, რომლებიც ხშირად ჩანან ტელევიზიით, ამავე დროს, პროპაგანდას უწევენ ნარკოტიკების მოხმარებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და, ამავე დროს, თავად არიან ნარკორეალიზატორები.

***– კონკრეტულად ვის გულისხმობთ?***

– ახლა არ შევუდგები მათი სახელებისა და გვარების ჩამოთვლას, მაგრამ საკმაოდ ბევრი ე.წ. ცნობადი სახე ნარკობარიგობისთვის თავის დროზე დაკავებულიც იყო. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, მალევე გამოუშვეს. ეს მოხდა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი არიან ცნობადი სახეები და მათ საქმეები ჩააწყვეს შესაბამის ორგანოებთან. ყველამ კარგად იცის, რომ წლების განმავლობაში ეს ე.წ. ჯემფესტი ნარკოტიკების რეალიზაციის ბუდეა.

***– ბევრმა ამ ფესტივალის ორგანიზატორი სიგუა დაადანაშაულა, რომელიც დღემდე თავის მართლების რეჟიმშია და აცხადებს, რომ მან ფესტივალი მოაწყო და ნარკოტიკებთან არანაირი კავშირი აქვს.***

– დღეს სიგუა ნაკლებად წარმოადგენს ჩემი ინტერესის სფეროს, თუმცა მანაც მშვენივრად იცოდა, რომ იქ ნარკოტიკების რეალიზაცია ხდებოდა და ყველა იმ ადამიანმა, რომლებიც იქ წლების განმავლობაში ფესტივალს ატარებენ. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ მთელი წლის განმავლობაში ნარკორეალიზატორები ემზადებიან იმისათვის, რომ ეს ფესტივალი ჩატარდეს და იქ მოხდეს ნარკოტიკების მასობრივად გაყიდვა. ჩვენ არაერთხელ ვწერდით ამის თაობაზე, არაერთხელ მივმართეთ სამართალდამცავ ორგანოებს, როდესაც თბილისში არსებულ კლუბებში იყიდებოდა ნარკოტიკები. ჩვენდა სამწუხაროდ, ამას არანაირი რეაგირება არ მოჰყვა. რატომ?!

***– რატომ, ვინმე მფარველობს ამ ბიზნესს?***

– რა თქმა უნდა, მფარველობენ! ერთი ტაბლეტი ექსტაზი ვერ გაიყიდებოდა ისე. არსებობენ ხელისუფლების ეშელონებში ადამიანები, რომლებიც ამ ბიზნესს მფარველობენ. როდესაც ეს ჯემფესტი გაიხსნა, მე პირადად გავაკეთე განცხადება, რომ შემოტანილი იყო დიდი პარტია ნარკოტიკების, რომელი ნარკოტიკებითაც მოხდებოდა ჩვენი ახალგაზრდების მოწამვლა. ყური არავინ შეიბერტყა. შემდგომში ყოველდღე ჩვენ ვხედავდით, ახალგაზრდები გადაჰყავდათ საავადმყოფოებში. სამწუხაროდ, რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა. დანარჩენები, ბოდიში ამ სიტყვაზე, მაგრამ ასეა, გამოშტერებულები ჩამოვიდნენ დედაქალაქში და მკურნალობის კურსს გადიან. ყოველ საღამოს ვწერდით, რომ მივიღეთ ინფორმაცია ზუგდიდიდან, რომ იყიდება ნარკოტიკები, თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, სანამ ადამიანები არ დაიღუპნენ, ყური არავინ არ შეიბერტყა. მე კარგი კონტაქტები მაქვს ზუგდიდში და მითხრეს, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობის ნარკოტიკია შემოსული და სანამ ბოლომდე არ მოხდება მისი რეალიზაცია, მანამდე გაჩერებას არ აპირებენო.

***– ეს არ იცოდნენ ორგანიზატორებმა ან სამართალდამცავმა უწყებებმა?***

– ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდნენ როგორც ორგანიზატორები, ისე სამართალდამცავი უწყებები, რომლებიც იქ იყვნენ თავმოყრილი. ყველამ კარგად იცის, რომ ისინი უნისონში მოქმედებენ. ჩვენდა სამწუხაროდ, არავის პასუხისმგებლობა არ დაჰკისრებია, არც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, რომლებიც ამას მფარველობდნენ და არც ამ ფესტივალის ორგანიზატორებს.

***– რამდენიმე რეალიზატორი ხომ დააკავეს?***

– ეს უკვე მეორე საკითხია. როდესაც ქართველთა მარში აცხადებდა იმის თაობაზე, რომ ქვეყანა სავსეა უცხოელი კრიმინალებითა და ნარკორეალიზატორებით, მაშინ ჩვენ მთელი ლიბერალისტური ქართველთა მოღალატეები დაგვიპირისპირდნენ. რეალობა კი ცოტა ხანში დაგვიდგა წინ. ვინ დააკავეს?! ძირითადად დააკავეს უცხოელები, ირანისა და ერაყის მოქალაქეები, რომლებსაც შემოტანილი ჰქონდათ მომწამვლელი ნივთიერებები ნარკოტიკების სახით. კარგად იცით, რომ 80% დაკავებული ნარკორეალიზატორებისა იყვნენ უცხოელები. სწორედ ამაზე გვაქვს ჩვენ საუბარი. საქართველო გავსებულია უცხოელი კრიმინალებით. ეს ადამიანები, რომლებიც ანაკლიიდან წამოვიდნენ, დღეს თბილისში არიან, ახლა აქ ყიდიან ამ მომწამვლელ ნარკოტიკებს! ქართველი ახალგაზრდების გენოციდი მიმდინარეობს.

***– რატომ არ ტარდება უფრო მკაცრი პოლიტიკა?***

– ჩვენი ხელისუფლება თუ უყურებს ერთ-ორ მარგინალურ ორგანიზაციას, რომლებიც ნარკორეალიზატორებით არის გაძეძგილი და, თუ მათი შიშით ვერაფერს ამბობს, მაშინ ადგნენ და გამოაცხადონ, რომ სახელმწიფო აღარ არსებობს. დღეს ისინი შეშინებული არიან. სახელმწიფოში ქაოსია.

# რატომ წაართვა რუსეთმა სამ მართლმადიდებელ ქვეყანას ტერიტორიები

## ჯონდი ბაღათურია: „საქართველოსაც, უკრაინასაც და მოლდოვასაც ნატოში შესვლა უნდათ“

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ პარლამენტის ყოფილ წევრ ჯონდი ბაღათურიასთან

***– საქართველოში საერთაშორისო სამხედრო წვრთნები მესამე წელია ტარდება. ახლა რატომ აძლევთ ასეთ მნიშვნელობას?***

– ხომ ნახეთ, შემოიყვანეს ამერიკული სამხედრო ტექნიკა დროშებით. მეორე დილით რუსებმა დაიწყეს ახალი ბორდერიზაცია, ახალი ხნულების გატარება.

***– არ იყო ამერიკის ჯარი, მაგრამ ბორდერიზაცია რა ხანია მიმდინარეობს. რატომ ვაკავშირებთ ამ ორ ფაქტს ერთმანეთს?***

– (ჯერ აზრს დავასრულებ) ამერიკის ჯარი აქ იყო, მაგრამ ვერ გაბედა რუსეთისთვის ხელის შეშლა კი არა, კომენტარის გაკეთებაც კი.

***– ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი საბრძოლველად კი არ იყვნენ შემოსული, საწვრთნელად.***

– კი მაგრამ, ის, რომ ამერიკის ჯარმა კომენტარის გაკეთებაც ვერ გაბედა, შესაბამისად, ილუზიები სრულიად გულუბრყვილო, მიამიტური, ჩვენს შემთხვევაში ძალიან ბრიყვულია, რომ ჩვენ აშშ დაგვიცავს. აშშ-ის ჯარი აქ იყო და რუსებმა ძალიან მშვიდად (სხვათა შორის, იარაღიც კი არ ჰქონდა გადაკიდებული) დაიწყეს ხნულების ხელახალი გატარება. საერთოდ, ჩვენ უნდა ვიფიქროთ ჩვენს საგარეო პოლიტიკურ კურსზე.

***– თქვენ რამდენჯერმე იმყოფებოდით მოსკოვში. ნატოზე უარი რომ ვთქვათ, რუსეთი ცხინვალსა და აფხაზეთს დაგვიბრუნებს და საქართველოს ოკუპაციას არ გააგრძელებს?***

– დღევანდელი მდგომარეობით რომ დავიწყოთ ამის ანალიზი, რისთვის უნდა დაგვიბრუნოს ცხინვალი, სამაჩაბლო და აფხაზეთი, შემდეგ ამერიკის ბაზები რომ განალაგო? თქვენ ხომ იცით, ამერიკის სამხედრო-სამეთაური კომპლექსი და ნატოს ჯარები რუსული სამეთაურო-სამხედრო კომპლექსის კონკურენტები არიან. მათ საომარი მოქმედება აქვთ ერთმანეთთან, მაგალითად, სირიასა და სხვა ადგილებში.

***– ეს პოლიტიკა რუსეთის ოკუპაციური პოლიტიკის შედეგია. განა თქვენ ამას ვერ ატყობთ?***

– დღეს რომ რუსებმა გაიყვანონ თავიანთი ბაზები აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან, ჩვენ უნდა შევიყვანოთ ნატოს ჯარები. რატომ უნდა შევიყვანოთ ნატოს ჯარი? ამ შეკითხვას სვამს რუსი.

***– არც ნატოს ჯარს შევიყვანთ და არც რუსული ჯარი გვინდა იქ.***

– რუსი ამბობს, რატომ უნდა გავიდე მე, როცა შემიძლია, არ გავიდე და არ დავუთმო ნატოსა და ამერიკის სამხედრო ბაზებს ის ტერიტორია, სადაც ახლა მე ვდგავარ. როცა ვლაპარაკობთ პოლიტიკაზე, სამართლიანობაზე, გაიხსენეთ, რომ საერთაშორისო სამართალი არის ძლიერების. საერთაშორისო სამართალში ძლიერის ენით გელაპარაკებიან.

***– ისე, თქვენ ახლა რუსული პოზიციიდან მელაპარაკებით.***

– დიახ, მე გეუბნებით, რუსული პოზიცია როგორია. დამეთანხმეთ, რომ თურმე არის ამაში ლოგიკა.

***– რუსულ ქმედებებში ლოგიკას ვერ ვხედავ. ახლა რომ რბილი ძალის საშუალებით მოქმედებას ცდილობს, 1991 წლიდან საქართველოში გადატრიალება რომ არ მოეხდინა, ქვეყანაში რუსეთში ნასწავლი ინტელიგენცია იყო, განწყობები არ გახლდათ რადიკალური, როგორც ეს იყო 1992-93 წლებისა და 2008 წლების ომების შემდგომ. ახალმა თაობამ ნახა რუსული ომის საშინელება. ამაზე რატომ არ ფიქრობთ?***

– როცა 1991 წლის პუტჩს ახსენებთ, ალბათ, გულისხმობთ იმასაც, რომ მაშინ დაიწყო აფხაზეთსა და ცხინვალში პრობლემები და სამხედრო კონფლიქტები. 1991 წელს რუსეთს მართავდა ლოთი ელცინი, სრულიად უპასუხისმგებლო ხელმძღვანელი და აშშ-ის მარიონეტი. ელცინი, როგორც თოჯინა, ზუსტად ისევე სატელეფონო ზარებით იმართებოდა ვაშინგტონიდან, როგორც დღეს ჩვენი ხელისუფლება იმართება. ერთი ზარი რომ განხორციელებულიყო ვაშინგტონიდან, ამ გადატრიალებას ხელს ნუ შეუწყობთო, გადატრიალება არ მოხდებოდა, ცხინვალსა და აფხაზეთში კონფლიქტებს უპასუხისმგებლო მარიონეტი ელცინი არ მოაწყობდა.



ამიტომ რუს ხალხსა და რუსულ სახელმწიფოს ნუ დავაბრალებთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ამ კონფლიქტების რეალიზაციას, ისევე, როგორც 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის შემოსვლას. ბოლშევიკებმა ბევრ სახელმწიფოს უკრეს თავი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ბოლშევიკები, პირველ რიგში, რუსეთისა და რუსების მტრები იყვნენ, შემდეგ – საქართველოსი და სხვების. 1991 წელსაც ვაშინგტონიდან მართულმა ელცინმა განახორციელა აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტები.

***– ბატონო ჯონდი, ეს საკითხები მამაო ჩვენოსავით ვიცი. მთლად ისე არ არის, როგორც თქვენ ამბობთ. 2 საუკუნის წინაც ამერიკა იყო, საქართველომ ქვეშევრდომობა რომ სთხოვა და სამეფო გააუქმა? რუსეთს ახასიათებს მუდმივი გაფართოებისთვის ბრძოლა და სხვისი ტერიტორიების დაპყრობა. რუსეთს ვერც ელცინის ლოთობით გაამართლებთ, ვერც პუტინის სიმკაცრითა და ვერც საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვის მოტივით. საერთოდ, დამოუკიდებლობაზე რომ ვიფიქრეთ, ამიტომ დაგვსაჯეს. ნუთუ ეს არ გესმით?***

– ეს თქვენი მოსაზრებაა.

***– ორი საუკუნეა, რუსეთი ვერ ჩამოვიცილეთ და საქართველოს იპყრობს. ეს ჩემი მოგონილი როგორ არის?***

– სავსებით გეთანხმებით, რომ რუსეთს, როგორც ყველა ძლიერ სახელმწიფოს (მათ შორის საქართველოსაც), ახასიათებს გაფართოებისკენ სწრაფვა. ასეთია რუსეთისა და დიდი სახელმწიფოების ხასიათი. ასეთია შეერთებული შტატების ბუნება. არც შეერთებულ შტატებს ვადანაშაულებ იმაში, რომ სურვილი აქვს, გაფართოვდეს და გავლენის სფეროები მოიპოვოს, არც რუსეთს. ჩვენს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ჭკუა და პასუხისმგებლობა, რათა საკუთარი სამშობლო რუსეთისა და ამერიკის დაპირისპირების არენად არ გადააქციოს.

***– ბატონო ჯონდი, მეთანხმებით, რომ რუსეთს აქვს იმპერიული ზრახვები. როცა ამბობთ, ხელისუფლების პოლიტიკა სწორი არ არისო, როგორ უნდა დავიცვათ თავი რუსეთის იმპერიული ზრახვებისაგან, თუ ძლიერი სტრატეგიული მოკავშირე არ გვეყოლება? როგორ უნდა გავუმკლავდეთ რუსეთის სამხედრო მანქანას, თუ ის მთლიანად საქართველოს ოკუპაციას მოინდომებს?***

– პირველ რიგში, საქართველო და ნებისმიერი ჭკუათმყოფელი ქვეყანა, მისი ჭკუათმყოფელი და პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება უნდა ცდილობდეს, საკუთარი ქვეყნიდან და საკუთარი ტერიტორიიდან არ შეუქმნას მეზობელ სახელმწიფოებს საფრთხე იმისათვის, რომ ამ მეზობელმა სახელმწიფოებმა არ დაიწყონ ამ საფრთხის ნეიტრალიზაციაზე ფიქრი და მუშაობა.

***– საფრთხე რუსეთს ჩვენი ტერიტორიიდან არ ემუქრება. პირიქით, თვითონ არის ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრილი, ბაზები აქვს განთავსებული. ჩვენ რა საფრთხე შევუქმენით?***

– თქვენ უნდა გესმოდეთ (მე კიდევ რუსეთის ლოგიკით გეუბნებით) და უნდა დამეთანხმოთ, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ნატოს ან ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსებაზე საქართველოში, რუსი საზოგადოება, რუსული უსაფრთხოების სისტემა ამას აღიქვამს, როგორც საფრთხეს.

***– თვითონ გვიბიძგეს ამერიკისკენ, ნატოსკენ, ევროპისკენ, წაგვართვეს ტერიტორიები, ახლა უკან როგორღა დავიხევთ?***

– ისეა, როგორც შეერთებული შტატები აღიქვამს საფრთხედ რუსულ ბაზებს, მაგალითად, კუბაში, სადაც რუსებმა უკვე ფლოტილია განათავსეს. ეს ორი სუპერსახელმწიფოა, რომლებიც სამხედრო-პოლიტიკურ-ეკონომიკურ კონკურენციაში იმყოფებიან, მათ შორის, ლოკალური ომები, სამხედრო შეტაკებები ხდება სირიაში. ჯერჯერობით ამ სამხედრო კონფლიქტში გამარჯვებული რუსეთია.

რუსებმა დაჩაგრეს ნატოს ჯარები სირიაში, საჰაერო სივრცეშიც და ხმელეთზეც. ჩვენ ამას ანგარიშს უნდა ვუწევდეთ. სამართლიანობა, საერთაშორისო სამართალი ძლიერი სახელმწიფოებისაა. პატარა სახელმწიფოებს მხოლოდ ჭკუის გამოყენების უნარი დარჩენიათ.

***– ძალიან რომ მოვინდომოთ და ვთქვათ უარი ამერიკაზე, ნატოზე, ევროპაზე, არის რუსეთისაგან გარანტია იმისა, რომ ისინი არ დაგვიპყრობენ? რუსეთს შეიძლება ვენდოთ?***

– ნატოს გამო რომელმა სახელმწიფოებმა დაკარგეს ტერიტორიები? უკრაინამ, საქართველომ და მოლდოვამ.

***– ჯერ მეტი ვერ მოასწრო.***

– სამმა მართლმადიდებელმა ქვეყანამ დაკარგა ტერიტორიები.

***– თქვენ თვითონ ამბობთ, რომ მართლმადიდებელმა რუსეთმა ტერიტორიები წაართვა მართლმადიდებელ ქვეყნებს.***

– სამივე სახელმწიფო არის ნატოში შესვლის მოსურნე, პროდასავლური ორიენტაციისა და თავის ტერიტორიაზე ნატოსა და ამერიკის სამხედრო ბაზების განთავსებას ცდილობდა. ყაზახეთს, რომელიც თავისი ტერიტორიით ევროპაზე დიდია, ერთი გოჯი მიწა არ დაუკარგავს.

***– დიდი ქვეყანაა და იმიტომ.***

– ამ სამი სახელმწიფოს გარდა (ნატოს სამხედრო ბაზების განთავსებას რომ აპირებდა თავის ტერიტორიაზე), არცერთ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს ერთი გოჯი მიწა არ დაუკარგავს. რუსეთი ცდილობს, მის სამეზობლოში ნატოსა და ამერიკის სამხედრო ბაზების განთავსება არ დაუშვას.

# „ქართულ ოცნებაში“ პარადი დავარცხნილ ნაცებს მიჰყავთ“

## თამაზ მეჭიაური: „ივანიშვილი პოლიტიკას გაემიჯნა“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ითხოვს ეროვნული ძალების გაერთიანებას, ვინ აკონტროლებს სახელისუფლებო პარტიას, რატომ არის აუცილებელი ნაციონალების ჩაჩოჩება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი თამაზ მეჭიაური ესაუბრება.

**თამაზ მეჭიაური:**

– დღეს ისე, როგორც არასდროს, საჭიროა ეროვნული ძალების გაერთიანება. ვისთვისაც საქართველოს მომავალი სულ ერთი არ არის, პირადი ამბიციები გვერდზე უნდა გადავდოთ და გავერთიანდეთ.

ფეისბუქზე დავწერე და თქვენთანაც გავიმეორებ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ და ასევე ეროვნულმა ძალებმა ვერ გააკეთეს დასკვნები და კვლავ აგრძელებენ დასავლელი ლიბერალებისა და ნაცების თამაშს, რისი საბოლოო მიზანიც არის „გამარჯვებული“ „ქართული ოცნება“, რომელსაც, ბოლოს მხოლოდ, სახელიღა შერჩება და მთავარი ოპოზიციური ძალა ნაციონალური მოძრაობა, თავისი ანასხლეტებით...

არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, ეს სცენარი დამღუპველია ქვეყნისთვის... გვარიანად განაციონალებული „ოცნება“ დასავლეთიდან შეგულიანებული ნაცების შანტაჟით ხშირად იღებს ანტიეროვნულ გადაწყვეტილებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დაამხობენ და ნაციონალებით ჩაანაცვლებენ.

***– ანტიეროვნულ გადაწყვეტილებებში რას გულისხმობთ?***

– ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად იწონებენ თავს იმით, რომ საქართველო ავღანეთში სამშვიდობო კონტინგენტით პირველ ადგილზეა ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის. ეს საამაყო კი არა, საგანგაშოა.

***– სამშვიდობო მისიებში ჩვენი სამხედროები გამოცდილებას იღებენ.***

– რომელ გამოცდილებაზეა საუბარი? იქ ჩვენი ბიჭები იღუპებიან. ვინმეს თუ უნდა, გამოცდილება მივიღოთ, აქ ჩამოვიდნენ და თავიანთი გამოცდილება გაგვიზიარონ.

ამ საერთაშორისო წვრთნებისა და მისიების არ მჯერა. საქართველოში ახლახან დასრულდა წვრთნები. დიდი ამბით მოატარეს ამერიკულ სამხედრო ტექნიკას საქართველოს ქალაქები. ამერიკული სამხედრო ტექნიკა ჯერ ისევ აქ იდგა, რუსებმა საოკუპაციო ხაზი რომ კიდევ გადმოსწიეს.

ჩვენ თუ ვმონაწილეობთ სამშვიდობო მისიებში, ჩვენ რატომ არავინ გვეხმარება? პირიქით, საფრთხეებს გვიმატებენ.

***– რა საფრთხეებს გვიმატებენ?***

– ხელისუფლება და ნაციონალები თავიანთი განაყრებით ვაშინგტონიდან იმართებიან. ისინი ღიად აცხადებენ, რომ საქართველოს ნატოში შესვლა გარდაუვალია. ამ დროს მოსახლეობაში ნატოს მიმართ იმედგაცრუება იზრდება.



***– იმედგაცრუება რით გამოიხატება? მოსახლეობის დიდი ნაწილი ნატოში საქართველოს გაწევრიანებას უჭერს მხარს.***

– ვერ დაგეთანხმებით. მოსახლეობის სულ უფრო დიდი ნაწილი ხვდება, რომ ნატოში შესვლას პერსპექტივა არ გააჩნია, ხოლო თუ გააჩნია, იქ გაცილებით დიდი დანაკარგებით შევალთ, ვიდრე დღეს გაგვაჩნია. არის იმის საფრთხე, რომ აჭარაც დაიკარგოს.

ამ რეგიონში ისედაც დიდი თურქეთის გავლენა ნატოში შესვლის შემთხვევაში კიდევ უფრო გაიზრდება. თუ ვინმემ არ იცის, შევახსენებ, რომ თურქეთი ნატოს წევრია. ნატოს წევრობას მისთვის ხელი არ შეუშლია იმაში, რომ პარტნიორი საბერძნეთისთვის კვიპროსის ნახევარი წაერთმია.

ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს სწორედ ამიტომ არ უნდა ნატოში შესვლა. ამ კატეგორიის ამომრჩეველი ისეთ პოლიტიკურ ძალას ეძებს, რომელიც გარედან არ იმართება.

საბედნიეროდ, ასეთი ძალები საქართველოში კიდევ არიან, მაგრამ მათ წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს. სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები ცდილობენ, ეს პარტიები არ განვითარდნენ.

ნერგავენ მოსაზრებას, თითქოს საქართველოში მოსახლეობა მხარს მხოლოდ მოქმედ და ყოფილ ხელისუფლებასა და მათ საგარეო კურსს უჭერენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საქართველოს სულ პროამერიკული კურსი ჰქონდა და ამერიკისკენ ჯერ კიდევ მანამდე მივილტვოდით, სანამ მას აღმოაჩენდნენ.

ამიტომ მოვუწოდებ თავისუფალ პოლიტიკურ ძალებს გაერთიანებისაკენ. თუ ამ მოწოდებას არ გამოეხმაურებიან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათთვის ქვეყნის ინტერესები მთავარი არ არის.

ეს გაერთიანება თუ არ მოხდა და მათ მეორე ადგილის დასაკავებლად არ იბრძოლეს, ქვეყნის საქმე ცუდად წავა.

მეორე ადგილს ხაზგასმით იმიტომ ვამბობ, რომ პირველი ადგილი „ქართულ ოცნებას“ აქვს გარანტირებული. სამწუხაროდ, ეს პარტია ნელ-ნელა ემსგავსება ნაციონალურ მოძრაობას.

ამ პარტიის განაციონალება მისი შექმნის დღიდან დაიწყო. იქ ჯერ რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები ჩაინერგნენ, მათი მეშვეობით ახერხებდნენ კიდევაც მაშინდელი უმრავლესობის მართვას.

დღეს ისინი დავარცხნილმა ნაციონალებმა ჩაანაცვლეს. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ „ოცნებაში“ პარადი მათ მიჰყავთ. ის ხალხი, რომელიც ამ პარტიის შექმნაში მონაწილეობდა, ჩაჩოჩებულია.

ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, ვიდრე „ქართული ოცნებისგან“ მხოლოდ სახელი არ დარჩება. სანამ ბოლომდე არ გაანაციონალებენ, არ მოეშვებიან.

***– კონკრეტულად ვინ ანაციონალებს ამ „ოცნებას“?***

– რა თქმა უნდა, დასავლეთი. „ოცნებაც“ და ყოფილი ხელისუფლებაც მათ მიერ იმართება. აქ მხოლოდ ამერიკის დადანაშაულება არ შეიძლება. იქაც არის ნორმალური ხალხი, მაგრამ იქ არის სოროსიც. სოროსის ფრთა მართავს ამ პროცესს.

**არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, ეს სცენარი დამღუპველია ქვეყნისთვის... გვარიანად განაციონალებული „ოცნება“ დასავლეთიდან შეგულიანებული ნაცების შანტაჟით ხშირად იღებს ანტიეროვნულ გადაწყვეტილებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დაამხობენ და ნაციონალებით ჩაანაცვლებენ.**

იმისათვის, რომ „ქართული ოცნება“ ნაციონალების ტერორისაგან გათავისუფლდეს, აუცილებლად უნდა გამოჩნდეს ახალი ძალა, რომელიც არჩევნებზე მეორე ადგილს დაიკავებს, გახდება მთავარი ოპოზიციური ძალა და ნაციონალებს თავიანთი ანასხლეტებით სადღაც უკან გადაისვრის.

***– თქვენი აზრით, რომელი პარტიებისგან უნდა შეიქმნას ახალი გაერთიანება, რომელიც მთავარი ოპოზიციური ძალა გახდება?***



– ეროვნული ძალებისგან, იმ ხალხისგან, რომლისთვისაც მთავარია საქართველო. დღეს „ოცნება“ ნაცებსა და მათ ანასხლეტებს უწევს ანგარიშს. ანგარიში მათ ხალხსა და ეროვნულ ძალებს უნდა გაუწიონ.

***– ზემოთ ახსენეთ „ოცნების“ ის წევრები, რომლებიც, თქვენი თქმით, ჩააჩოჩეს. მათთან ხომ არ გქონიათ რაიმე კონსულტაციები?***

– მათთან არანაირი კონსულტაციები არ მქონია. ჩემი მოსაზრება დავაფიქსირე და სულ ეს არის. არც იმაზე გამაჩნია დიდი პრეტენზია, რომ აუცილებლად ასე მოხდება.

***– აღნიშნეთ, რომ „ოცნებას“ მანამდე არ მოეშვებიან, სანამ მისგან მხოლოდ სახელი არ დარჩება. ივანიშვილს აღარ აინტერესებს თავისი პარტია?***

– აშკარაა, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში აღარ ერევა. ეს „ოცნების“ ქმედებებშიც კარგად აისახება.

***– დაუშვებს ივანიშვილი თავისი პარტიის განაციონალებას?***

– ვერ გეტყვით. მე ივანიშვილს არ შევხვედრივარ და არ მისაუბრია, მაგრამ კარგად ვიცი ერთი რამე, რომ მასზე დიდი ზეწოლაა. „ოცნების“ განაციონალების გეგმა დასავლეთში დაიწერა. ეს გეგმა სისრულეში ეტაპობრივად მოჰყავთ. შემდეგი ნაბიჯი მათი ხელისუფლებაში დაბრუნება იქნება. მხედველობაში ოფიციალური დაბრუნება მაქვს, თორემ ისედაც ხელისუფლებაში არიან.

ამის თავიდან აცილება მხოლოდ ახალ გაერთიანებას შეუძლია. ეროვნულმა ძალებმა პირადი ამბიციები გვერდზე გადადონ და გაერთიანდნენ. ცალ-ცალკე ვერაფერს მიაღწევენ, ერთად კი მეორე ადგილის დაკავების დიდი შანსი აქვთ.

# ხელფასებზე მაღალი ყოველთვიური დანამატები კრიზისების მართვის საბჭოში



სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის მინდია ჯანელიძის ხელფასი 3200 ლარია. ხელფასის გარდა, ის ყოველთვიურად დანამატის სახით 4.760 ლარს იღებს, რის გამოც მისი ანაზღაურება თვეში 8.000 ლარს აღწევს, წლიური შემოსავალი კი 94 500 ლარია. ხელფასზე მეტი ოდენობით დანამატებს იღებს მინდია ჯანელიძის ოთხივე მოადგილე.

საბჭოს მდივნის პირველი მოადგილე გიორგი ზედელაშვილი, რომლის ხელფასის ოდენობა თვეში 2.950 ლარს შეადგენს, ყოველთვიური დანამატის სახით 3.050 ლარს იღებს. მისი ანაზღაურება თვეში 6.000 ლარია, ხოლო წლიურად 35.400 ლარის ნაცვლად 72.000 ლარს აღწევს.

ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე გიორგი ზედელაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე იყო და იმავდროულად, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს ხელმძღვანელობდა.

მინდია ჯანელიძეს კიდევ 3 მოადგილე ჰყავს – ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილეები – ლევან ღირსიაშვილი და კახა ოქროჯანაშვილი. მათი ხელფასი თვეში 2.925 ლარია, ანუ წელიწადში 35.100 ლარი, თუმცა, თანამდებობრივი სარგოს გარდა, საბჭოს მდივნის მოადგილეები ყოველთვიურად იღებენ დანამატს 3.050 ლარის ოდენობით. შესაბამისად, თითოეული მათგანის წლიური ანაზღაურება 71.700 ლარია.

2.900 ლარია საბჭოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის – დეპარტამენტის დირექტორის ხელფასი, თუმცა ექვსივე დეპარტამენტის დირექტორი დანამატის სახით ყოველთვიურად იღებს 2.340 ლარს. შესაბამისად, მათი ანაზღაურება თვეში 5.240 ლარს, ანუ წელიწადში 62.900 ლარს შეადგენს.





სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოა, საბჭოს მდივანი კი ითვლება პრემიერ-მინისტრის თანაშემწედ. აღსანიშნავია, რომ თვითონ მთავრობის მეთაურის გიორგი კვირიკაშვილის ხელფასის ოდენობა წელიწადში 51.370 ლარია, ესე იგი თვეში საშუალოდ 4.280 ლარი.

საბჭოს აპარატში ამჟამად სულ 78 საჯარო მოსამსახურეა, რომელთა თანამდებობრივ სარგოებს საქართველოს მთავრობა ამტკიცებს. საბჭოს მდივნის ყოველთვიური დანამატის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, აპარატის სხვა მოსამსახურეებზე დანამატის გაცემის წესს კი ამტკიცებს საბჭოს მდივანი.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# „საქართველოს 10-15 მილიონი ვიზიტორის მიღება შეუძლია“

პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა დავოსის მერ ტარცისიუს კავიეზელთან ერთად სამედიცინო-გამაჯანსაღებელი კურორტი ბიოლი დაათვალიერა და ახალი საკონფერენციო დარბაზი გახსნა.

პრემიერმა კურორტის განვითარების უდიდეს პერსპექტივაზე ისაუბრა და მის დამფუძნებელ თამაზ მჭედლიძეს ალტერნატიული მედიცინის ბაზის განვითარებისთვის მადლობა გადაუხადა.

თამაზ მჭედლიძე არის ადამიანი, რომელმაც დღეს საქართველოში ნულიდან შექმნა ეს საოცრება – შექმნა განსხვავებული რამ, რაც მანამდე ჩვენს ქვეყანაში არასოდეს ყოფილა. მინდა ხაზგასმით ვთქვა, ვიდრე იქნებიან ასეთი პატრიოტები, ქვეყანა აუცილებლად წინ წავა. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან თქვენ გეყოლებათ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარდამჭერი იმისთვის, რომ ასეთი კერები საქართველოში სხვაგანაც განვითარდეს, – მიმართა პრემიერმა ბიოლის დამფუძნებელს.

საქართველოს მთავრობის მეთაური მიესალმა დავოსის მერის ტარცისიუს კავიეზელისა და მისი მეუღლის საქართველოში სტუმრობას და შვეიცარიასთან საქართველოს ძალიან საინტერესო, მზარდ ურთიერთობებზე ისაუბრა.



გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საქართველო ყოველწლიურად მონაწილეობს დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში, ასევე, შვეიცარიასთან აქვს ძალიან საინტერესო ურთიერთობა მთიანი რეგიონების განვითარების კუთხით.

„შვეიცარია ნამდვილად გამოირჩევა ევროპის ქვეყნებს შორის და მსოფლიოში იმით, რომ ისე განავითარა საკუთარი მთიანი რეგიონები, რომ შეინარჩუნა ავთენტურობა. სწორედ ამის სწავლა გვინდა ჩვენ შვეიცარიისგან. ასევე მინდა, დიდი კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ საქართველოში გასულ შემოდგომას ჩამოსული იყო შვეიცარიის პარლამენტის სპიკერი ქალბატონი კრისტა მარკვალდერი, წელს შემოდგომაზე კი ჩვენ ველოდებით შვეიცარიის პრეზიდენტის ქალბატონი დორის ლეუთარდის ვიზიტს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. მისი თქმით, ჩვენს ქვეყნებს შორის ასეთი მჭიდრო კავშირები განსაკუთრებული ურთიერთობების დასტურია.

გიორგი კვირიკაშვილმა ასევე, კიდევ ერთხელ, გამოხატა მადლიერება შვეიცარიის განსაკუთრებული როლისთვის საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში.

პრემიერ-მინისტრმა დავოსის მერი, მომავალ წელს ბაკურიანში მიიწვია, სადაც საქართველოში ჰოკეის პირველი არენის გახსნა იგეგმება.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ჩვენს ქვეყანაში ალტერნატიული მედიცინის განვითარებაში შვეიცარიასთან თანამშრომლობა უდიდეს როლს შეასრულებს.

ეს არის უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომელსაც ვფიქრობ, უდიდესი რესურსი და განვითარების პერსპექტივა აქვს, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში ჩამოსული ტურისტების სულ უფრო მზარდ მაჩვენებელს. წელს 30%-იანი ზრდა გვაქვს და ვფიქრობ, თუ დავოსს შეუძლია, წელიწადში 2 მილიონ ვიზიტორს უმასპინძლოს, საქართველოს შეუძლია, სრულიად თავისუფლად უმასპინძლოს წელიწადში 10-15 მილიონ ვიზიტორს. ჩვენ უკვე შარშან გადავაბიჯეთ 6-მილიონიან მაჩვენებელს, წელს ვფიქრობთ, 7 მილიონს მივუახლოვდებით და თუ ამ ტემპით ვიარეთ, დარწმუნებული ვარ, სულ რამდენიმე წელიწადში შევძლებთ, 10 მილიონს გადავაჭარბოთ. 15 მილიონი კი, საქართველოსთვის ის მაჩვენებელია, რომელიც განაპირობებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის პროექტები, რომლებსაც ვახორციელებთ – მიკროგრანტების პროგრამა, აწარმოე საქართველოში, აგროტურიზმის განვითარება, ყველაფერი მივაბათ ტურიზმს, რათა ადამიანმა დაინახოს უმნიშვნელოვანესი კავშირი, რომელიც არსებობს თითოეულ დამატებით ჩამოსულ ტურისტსა და საქართველოში თითოეული ადამიანის კეთილდღეობას შორის, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

კოჯორში მდებარე კურორტი „ბიოლი“ საქართველოსთვის ინოვაციური ნაბიჯია, რომელსაც ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. პროექტში 14 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა.

# „საქართველოში სადაზღვევო კულტურა საკმაოდ დაბალია“

დაზღვევის შესახებ კანონში დაგეგმილი ცვლილებების თანახმად სადაზღვევო სამსახურის დაფინანსება სადაზღვევო კომპანიებს მოუწევთ. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში შესული ცვლილებების შედეგად ათასობით ადამიანი როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაზღვევის გარეშე დარჩა – ამ საკითხების მნიშვნელობასთან დაკავშირებით სადაზღვევო ინსტიტუტის ხელმძღვანელი **გიორგი გიგოლაშვილი** გვესაუბრა.

***– დაზღვევის შესახებ კანონში შესული ცვლილებების თანახმად, სადაზღვევო კომპანიები დააფინანსებენ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს და ეს განისაზღვრება მოზიდული სადაზღვევო პრემიის ერთ-ერთი პროცენტის ოდენობით. თქვენი შეფასებით რამდენად ადეკვატურია აღნიშნული გადაწყვეტილება და რა ეკონომიკური საფუძველი აქვს მას?***

– პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ სადაზღვევო სექტორის მიერ მოზიდული პრემია წინა წელს იყო 378 მილიონი ლარი და ამის 1 პროცენტი არის 4 მილიონ ლარამდე, ახალი დათვლით სწორედ ეს იქნება სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დაფინანსება. კანონი ჯერ არ არის მიღებული და არსებობს შანსი, რომ რაღაც შეიცვალოს. დღემდე სახელმწიფო ამ სამსახურს, დაახლოებით, მილიონ ოთხასი ათასი ლარით აფინანსებდა და თუ გავა ახალი კანონი და დამტკიცდება ცვლილებები, ბიუჯეტს მოუწევს, ეს თანხა სხვა საკითხებს მოახმაროს.

ზედამხედველმა, გარდა იმისა, რომ ფინანსური მდგრადობას და გადახდის უნარიანობას უნდა მიაქციოს ყურადღება, კანონმდებლობამ და მისმა კონტროლმა უნდა უზრუნველყოს ის, რომ მას მოტივაცია უნდა ჰქონდეს იმისი, რომ განავითაროს სადაზღვევო ბაზარი. ამის მისაღწევად ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი არის სადაზღვევო განათლება. ასევე მნიშ-



ვნელოვანი საკითხი კი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობაა. სპეციალურმა სამსახურებმა უნდა დაამუშაონ სავალდებულო დაზღვევის მიმართულებები, ვინაიდან ქვეყნის კეთილდღეობა სწორედ ამით იზომება. თუკი ზედამხედველობის სამსახური ლობირებას გაუწევს სავალდებულო დაზღვევის თემებს, ეს ყველაფერი დიდად წაადგება სადაზღვევო კომპანიებს. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პირველი წელი საკმაოდ რთულია ძირითადი გათვლების გასაკეთებლად, თუმცა სახელმწიფომ შეცდომები არ უნდა დაუშვას და მაქსიმალურად უნდა დაუდგეს გვერდში როგორც დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს, ასევე, თავად სადაზღვევო კომპანიებს.

***– თქვენც ახსენეთ და ისედაც ბოლო პერიოდში საკმაოდ გააქტუალურდა სავალდებულო დაზღვევის საკითხი. ამ ეტაპზე, როგორც ცნობილია, იგეგმება სავალდებულო დაზღვევის კომპონენტის ამოქმედება ქონების დაზღვევის მიმართულებით და მესამე პირისადმი პასუხისმგებლობის საკითხშიც. რა შეფასებას გააკეთებდით ამასთან დაკავშირებით?***

– სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონში პირველი მოსმენით არის ცვლილებები შესული და აქ სწორედ იმაზეა საუბარი, რომ მთავრობას უფლება უნდა მიეცეს დაიწყოს მსგავსი ტიპის დაზღვევების სავალდებულოდ ქცევაზე ფიქრი. ბოლო დროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, პირველ რიგში სწორედ ბაზრობები და სავაჭრო ცენტრები, მათი მფლობელები იქნებიან დაზღვეულნი თუკი ამოქმედდება ამ მიმართულებით სავალდებულო დაზღვევა.

ზოგადად სადაზღვევო კულტურა ჩვენთან საკმაოდ დაბალია და იგი ფაქტობრივად არ არის განვითარებული. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პირველი ხანძარი სადაც მოხდა, იქ არც ერთი მოვაჭრე არ იყო დაზღვეული. ხოლო მეორე შემთხვევაში 30 დაზარალებულიდან 17 ჰქონდა პოლისი, რამაც საკმაოდ დიდი როლი ითამაშა. როდესაც სავალდებულო დაზღვევაზე ვლაპარაკობთ, საუბარია არა იქ მყოფის ქონების დაზღვევაზე, არამედ იმაზე რომ ობიექტის მფლობელის ნაცვლად აანაზღაურებს ზარალს სადაზღვევო კომპანია.

# „ზაპრავკა“ – ბაზარზე კიდევ ერთი კვების მოძრავი ობიექტი გამოჩნდა

ბაზარზე ერთი თვის წინ კიდევ ერთი კვების მოძრავი ობიექტი „ზაპრავკა“ გამოჩნდა. როგორც „კომერსანტთან“ საუბრისას მისი ახალგაზრდა დამფუძნებელი 19 წლის გელა ჯალიაშვილი აცხადებს, ამჟამად „ზაპრავკას“ საკვების დაგემოვნება ბაკურიანშია შესაძლებელი, იდეის ავტორი აგრარული უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია. როგორც ახალგაზრდა ბიზნესმენი ჩვენთან საუბრისას განმარტავს, ბიზნესში ჩადებული საწყისი კაპიტალი 6 000 დოლარი იყო.




***– „ზაპრავკა“ ერთი თვის წინ შეიქმნა და მას მომხმარებელი უკვე იცნობს. თუმცა გარკვეული სეგმენტისთვის ის კვლავ უცნობია. უამბეთ „კომერსანტის“ მკითხველს თქვენი კომპანიის შესახებ...***

– ჩვენ მომხმარებელს ვთავაზობთ ნატურალური ინგრედიენტებითა და ახალი ხორცით დამზადებულ ბურგერებს. ჩვენი საწარმო მოძრავია და ძირითადად, სეზონურად სხვადასხვა კურორტებზე ვიმოძრავებთ. ამჟამად ბაკურიანში ვიმყოფებით. აქ ალკოჰოლურ სასმელებს ვერ ვამატებთ, რადგან ძირითადად ბავშვები ისვენებენ, სამომავლოდ ზამთრის კურორტებზე, რა თქმა უნდა, ალკოჰოლური სასმელების დამატებას ვგეგმავთ. გაყიდვებში ამჟამად ჩემი მეგობარი მეხმარება.

***– როგორ მიმდინარეობს თქვენი ბიზნესის განვითარების ეტაპები და ბაკურიანის გარდა კიდევ სად შეიძლება თქვენი ხილვა?***

– ბიზნესი ახალი დაწყებულია და ეს ჩვენი პირველი ცდაა. დამწყები ბიზნესის წარმომადგენლები ბათუმშიც მიგვიწვიეს, სადაც აუცილებლად წავალთ. რაც შეეხება თბილისს, დედაქალაქში მოძრავი კვების ობიექტი სახელმწიფო პარკინგზე აკრძალულია, ამიტომ იქ ვერ ვიქნებით წარმოდგენილები. შემოდგომაზე კი შესაძლოა, კახეთში წავიდეთ, სადაც ამ დროს ბევრი ტურისტი იქნება. დროთა განმავლობაში ბიზნესი განვითარდება და GEM FEST-ზეც წავალთ.

***– რა სახის ინვესტიცია ჩაიდო თავდაპირველად თქვენ ბიზნესში და რა სირთულეებმა იჩინა თავი?***

– ბიზნესში ჩადებული თავდაპირველი ინვესტიცია 6.000 დოლარი იყო. მამაჩემმა უპროცენტო სესხი მომცა, რათა ბანკში არ მეხადა თანხა. ბანკთან ურთიერთობას ასეთი შეთანხმება ვამჯობინეთ. დროთა განმავლობაში მას ამ თანხას აუცილებლად დავუბრუნებ. რაც შეეხება სირთულეებს, თავდაპირველად სწრაფად მუშაობა გვიჭირდა, თუმცა პრაქტიკაში ყველაფერს მარტივად მივეჩვიეთ და სხვადასხვა უნარ-ჩვევები გამოვიმუშავეთ.

***– რაც შეეხება სახელწოდებას, რატომ დაარქვით თქვენს ბიზნესს „ზაპრავკა“ და როგორ შეარჩიეთ მისთვის დიზაინი?***

– სხვათა შორის, ეს კითხვა ხშირად ჩნდება „ზაპრავკასთან“ მიმართებით. ბევრს ეს სახელწოდება რუსული პროპაგანდა ჰგონია და გვაკრიტიკებენ. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის, სახელწოდება სამეგობრო წრეში გაჩნდა და შემდგომ ბევრი აღარ გვიფიქრია, პირდაპირ „ზაპრავკა“ დავარქვით. თავდაპირველად ამას ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა დროთა განმავლობაში თავის დამკვიდრება შევძელით. რაც შეეხება დიზაინს, მანქანა ბაკურიანში ერთ-ერთ ჩემ ახლობელთან აღმოვაჩინე. შემდგომ შევღებეთ ისე როგორც გვინდოდა და გადავაკეთეთ. ეს ფერები იმიტომ ავარჩიეთ, რომ ის თვალშისაცემია.

***– პროდუქციის შენახვის პირობებთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში ხშირად ჩნდება კითხვები. როგორ მზადდება და სად ინახება თქვენი პროდუქცია?***

– ჩვენი საკვები პროდუქციის შევსება ბაკურიანში მდებარე ერთ-ერთი რესტორნიდან ხდება, სადაც ყველაფერი სათანადო პირობებშია შენახული. თავდაპირველად ყველაფერი წინასწარ განვსაზღვრეთ, მათ შორის ისიც თუ როგორ პირობებში უნდა გამზადდეს პროდუქტის დასამზადებელი ინვენტარიც.

***– როგორია თქვენი საფასო პოლიტიკა და რით უწევთ სხვებს კონკურენციას?***

– ჩვენი პროდუქციის საფასო პოლიტიკას რაც შეეხება, ჩვენთან ჰამბურგერი რვა ლარი ღირს. გვაქვს ასევე: კარტოფილი ფრი, ჰამბურგერი და კოკა-კოლა ათ ლარად. ასევე გვაქვს სამლარიანი ჰოთ-დოგები და კარტოფილი ფრი ორ ლარად. ჩვენ სხვა მსგავს ობიექტებს კონკურენციას ნატურალური და გემრიელი პროდუქციით, სასიამოვნო გარემოთი, თვალშისაცემი დიზაინითა და კარგი მომსახურებით გავუწევთ.

***– როგორია „ზაპრავკის“ სამომავლო გეგმები?***

– სამომავლოდ კიდევ ერთი მანქანის დამატებას ვგეგმავთ და აუცილებლად სეზონურად უნდა ვიმუშაოთ სხვადასხვა კურორტზე. ეს შორეული გეგმაა, თუმცა მინდა „ზაპრავკამ“ ტკბილეულიც გაყიდოს. ასევე მსურს, რომ ხალხმა უკეთ გაიცნოს ჩემი ბიზნესი და „ზაპრავკა“ ცნობადი ბრენდი გახდეს, სადაც ადამიანები იაფად და გემრიელად მიირთმევენ საკვებს.

# თბილისში აზოტის დიოქსიდით ყველაზე მეტად დაბინძურებული უბნები ცნობილია

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მიმდინარე წლის ივლისში ჰაერის ინდიკატორული გაზომვების მერვე ეტაპი ჩაატარა.

საქართველოს 20 ქალაქში განთავსებული იყო 134 ცალი ინდიკატორული მილაკი. აქედან აზოტის დიოქსიდის შემცველობის განსაზღვრის მიზნით 68 მილაკი, ოზონის – 28, გოგირდის დიოქსიდის – 28 და ბენზოლის – 10.

ანალიზები ჩატარდა დიდი ბრიტანეთის აკრედიტებულ ლაბორატორიაში, ხოლო მიღებული შედეგების შეფასება მოხდა ევროკავშირის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდექსებთან ჰარმონიზებული სისტემის შესაბამისად.

ყველა წერტილში დაფიქსირდა გოგირდის დიოქსიდის, ოზონისა და ბენზოლის დაბალი ინდექსები.

რაც შეეხება აზოტის დიოქსიდს, მისი მაღალი ინდექსები დაფიქსირდა ქალაქ თბილისში ორ წერტილში: მელიქიშვილის ქუჩასა და მეტროს სადგურ „ტექნიკურ უნივერსიტეტთან“, აგრეთვე ქალაქ ქუთაისში ჭავჭავაძის გამზირზე.

გარდა ამისა, აზოტის დიოქსიდის საშუალო ინდექსები აღინიშნა ქალაქ თბილისის 14 წერტილში, ბათუმის სამ წერტილში, თელავის, ქუთაისისა და ზესტაფონის ორ-ორ წერტილში და ხაშურის, სამტრედიისა და გორის თითო წერტილში.

სპეციალისტების თქმით, რაც უფრო მეტი მანქანაა, აზოტის დიოქსიდის მაჩვენებელი უფრო მაღალია: თბილისში, ისევე როგორც რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში, ერთ-ერთი მთავარი დამაბინძურებელია ტექნიკურად გაუ-



მართავი და მოძველებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებია, თუმცა სხვა წყაროებიც არსებობს, მათ შორის მშენებლობის მტვერი (საქართველოში სტანდარტი, რომ მშენებლობა იზოლირებული იყოს, ტრადიციულად დარღვეულია). სხვადასხვა ნივთიერების გადაჭარბებული კონცენტრაცია დაავადებების გავრცელებაზე გავლენას ახდენს და განსაკუთრებით მოწყვლადები ბავშვები, მოხუცები და გულსისხლძარღვთა დაავადებების მქონე პირები არიან, – აცხადებენ სპეციალისტები და აღნიშნავენ, რომ ტექდათვალიერება, რომელიც 2018 წლიდან სავალდებულო გახდება, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ამ მაჩვენებლებს და ზოგადად გარემოს მდგომარეობას.

# აეროპორტის გზაზე ავტოავარიას ორი ახალგაზრდა მამაკაცი ემსხვერპლა




თბილისში, აეროპორტის გზაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ორი ახალგაზრდა მამაკაცი გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, ავტომობილი, რომლითაც ისინი გადაადგილდებოდნენ, ხეს შეეჯახა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შსს-ს პრესსამსახურში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება სსკ-ის კოდექსის 276-ე მუხლის მეშვიდე ნაწილთ დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ერთი ან მეტი პირის გარდაცვალება გამოიწვია.

# თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციას ახალი უფროსები ჰყავს




თბილისის საპატრულო პოლიციას ახალი უფროსი ჰყავს. დავით მიქიაშვილი ამ პოზიციაზე მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის უფროსმა თეიმურაზ კუპატაძემ ჩაანაცვლა. როგორც „ინტერპრესნიუსს" შსს-ს პრესსამსახურში განუცხადეს, თბილისის საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელის შეცვლა როტაციული პრინციპით მოხდა.

რაც შეეხება თბილისის საპატრულო პოლიციის ყოფილ ხელმძღვანელს, დავით მიქიაშვილმა თეიმურაზ კუპატაძის ძველი თანამდებობა დაიკავა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის სამმართველოს უხელმძღვანელებს.

# ავტოსაგზაო შემთხვევა რუსთავში — ავტომანქანა ქვეითად მოსიარულე მამაკაცს დაეჯახა



ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ცოტა ხნის წინ რუსთავში, მესხიშვილის ქუჩის №11 ნომერთან. მსუბუქი ავტომობილი შუახნის ასაკის ქვეითად მოსიარულე მამაკაცს დაეჯახა. მან დარტყმის შედეგად მსუბუქი დაზიანება მიიღო. შემთხვევის ადგილას საპატრულო პოლიცია და სასწრაფო დახმარებაა მობილიზებული. მამაკაცს პირველადი დახმარება ადგილზევე აღმოუჩინეს.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია).

# ავარია ავლაბარში — ერთმანეთს ყვითელი ავტობუსი და მსუბუქი ავტომობილი დაეჯახნენ

თბილისში, ავლაბრის ტერიტორიაზე, ერთმანეთს ყვითელი ავტობუსი და მსუბუქი ავტომობილი დაეჯახნენ. შემთხვევის შედეგად სამი ადამიანი დაშავდა. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დაშავებულები სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა.

როგორც „ნიუპოსტს" შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.




# ფოთში მაშველებმა 5 ადამიანი გადაარჩინეს




შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს წყალზე მაშველებმა ფოთში, მალთაყვის სანაპირო ზოლზე, 5 ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს, მათ შორის იყო სამი მცირეწლოვანი. ზღვის მოქცევის დროს წყალმა დამსვენებლები სიღრმისკენ გაიტაცა. სანაპიროზე მყოფი შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს წყალზე მაშველები მათ გადასარჩენად ზღვაში დაუყოვნებლივ შევიდნენ. სამაშველო ოპერაცია წარმატებით დასრულდა. განსაცდელში მყოფი ხუთივე პირი მაშველებმა ნაპირზე უვნებლად გამოიყვანეს. პირველადი სამედიცინო დახმარება მათ ადგილზევე გაეწიათ. ამ დროისთვის ბავშვების, მათი მამისა და თანმხლები პირის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

# „უკრაინისა და საქართველოს შს მინისტრების საუბარი არ შემდგარა"



– იმის დაშვებაც კი, რომ ორი ქვეყნის შს მინისტრები სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან თემებს განიხილავენ არადაცული სატელეფონო კავშირის მეშვეობით, არასერიოზულია. მსგავსი სატელეფონო საუბარი საერთოდ არ შემდგარა არც უკრაინის შს მინისტრთან და არც სხვა პირთან.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში ბლოგ Страна.ua-ს მიერ გავრცელებული აუდიოჩანაწერის კომენტირებისას განუცხადეს.

– მსგავსი სატელეფონო საუბარი საერთოდ არ შემდგარა, არც უკრაინის შს მინისტრთან და არც სხვა პირთან. საერთოდ, იმის დაშვებაც კი, რომ ორი ქვეყნის შს მინისტრები სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან თემებს განიხილავენ არადაცული სატელეფონო კავშირის მეშვეობით, არასერიოზულია, – აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში.

Страна.ua-მ გაავრცელა აუდიოჩანაწერი, რომელშიც, ცნობილი რუსი ,,პრანკერების" (სატელეფონო ხულიგნები) „ვოვანისა" და „ლექსუსის" მტკიცებით, „ლექსუსი" საქართველოს შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილს უკრაინის შს მინისტრ არსენ ავაკოვის სახელით ესაუბრება. აუდიოჩანაწერის თანახმად, თითქოსდა გიორგი მღებრიშვილი ექსპრეზიდენტს უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებს და უკრაინულ მხარეს სთხოვს, არ გადმოსცენ ის საქართველოს. ამასთან, ვიდეოს თანახმად, თითქოსდა გიორგი მღებრიშვილი ამბობს, რომ ეს პოზიცია პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან შეთანხმებულია.

აუდიოჩანაწერის თანახმად, „პრანკერი" თითქოსდა საქართველოს შს მინისტრს ეუბნება, რომ მიხეილ სააკაშვილი აპირებს უკრაინაში ჩასვლას, თუმცა ის იქ არ სჭირდებათ და საქართველოს უნდა გადასცენ.

– ის ავანტიურისტია და ზედმეტი თავის ტკივილია, ჩვენ არ გვჭირდება. პროკურორებთანაც გავიარე კონსულტაცია და თქვენთან თხოვნა გვაქვს, თუ ეს ნაძირალა გამოჩნდება თქვენთან, დაე, „ბომჟი" იყოს და მთელ მსოფლიოში იაროს, ვიდრე საქართველოში ციხეში იჯდეს. არ გვინდა, მისგან გმირი შევქმნათ. აქ ყველაფერი დასტაბილურდა, მის გარეშე კარგად ვცხოვრობთ და, თუ აქ გამოჩნდება, დაიწყება მღელვარება, – აცხადებს თითქოსდა გიორგი მღებრიშვილი.

# შსს-ს განცხადება ფონიჭალის სპეცოპერაციაზე — სამართალდამცავებმა 33 შეკვრა ჰეროინი ამოიღეს



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ნ.ჯ. და 1976 წელს დაბადებული მ.ჯ., ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით ფონიჭალაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდნენ. პოლიციამ, დაკავებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, 33 შეკვრად დაფასოებული ჰეროინი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით).

# ქართველი სამხედრო გარდაცვლილი იპოვეს

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, I ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურე ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში" სასწავლო კურსზე იყო მივლინებული. 2015 წლის 10 ივნისს გივი კირკიტაძე სამხედრო ნაწილიდან დათხოვნაში იმყოფებოდა და მეორე დღეს სასწავლო ცენტრში არ გამოცხადდა. მოგვიანებით იგი სასწავლო ცენტრთან მდებარე მიტოვებულ შენობაში გარდაცვლილი აღმოაჩინეს.



მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. საქმეს იძიებს შსს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს რუსთავის სამმართველოს პირველი განყოფილება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს რიგითი გივი სიმონის ძე კირკიტაძის დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

**პირველი რადიო**

## სისხლიანი ტრაგედია ვირჯინიაში

ქალაქ შარლოტსვირში (ვირჯინიის შტატი) სისხლიანი ტრაგედია მოხდა. თეთრკანიანი ნაციონალისტების ჯგუფმა გენერალ ედვარდ ლის ძეგლის აღების ფაქტი გააპროტესტა. ნაციონალისტებს მა-



თი მოწინააღმდეგენი დაუპირისპირდნენ და კონტრაქცია მოაწყვეს. შედეგად შუა ქუჩაში ხელჩართული ჩხუბი გაიმართა. პოლიციამ მოჩხუბრები ხელკეტებითა და ცრემლმდენი გაზის მეშვეობით დაშალა.

იმავე დღეს ნაციონალისტები და მათი მოწინააღმდეგენი სხვა ქუჩაზე კვლავ შეიკრიბნენ. ამ დროს გამოჩნდა მანქანა, რომელიც მანიფესტანტთა ნაკადში შეიჭრა. შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე დაშავდა.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

## აშშ რუსეთის წინააღმდეგ ახალ ღონისძიებებს ამზადებს

დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ რუსეთში ამერიკული დიპკორპუსის შემცირება მოსკოვისათვის უკვალოდ არ ჩაივლის. მზადდება საპასუხო ღონისძიებები და უკვე 1 სექტემბრისათვის ისინი ძალაში შევა.

— მოდით, ჯერჯერობით ამ ღონისძიებების ჩამოთვლისაგან თავი შევიკავოთ. გეტყვით მხოლოდ, რომ რუსეთს ისინი სამუდამოდ დაამახსოვრდება, — თქვა ტრამპმა.

## ტრამპი: „ჩრდილოეთ კორეის კრიზისი მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს“

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი სახელმწიფო მდივან ტილერსონსა და გაეროში აშშ-ის ელჩ ნიკ ჰეილის შეხვდა. მათთან თათბირის შემდეგ ტრამპმა პატარა პრესკონფერენცია გამართა. აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ჩრდილოეთ კორეის კრიზისი მშვიდობიანად უნდა გადაიჭრას.

— მე, როგორც ამერიკის პრეზიდენტი, ყველაზე მეტად ვარ დაინტერესებული იმით, რომ კრიზისი მშვიდობიანად მოგვარდეს, — თქვა ტრამპმა.

ამავე დროს, აშშ-ის ლიდერმა აღნიშნა, რომ არმია ნებისმიერი სცენარისათვის მზად არის.

— ჩვენს შეიარაღებულ ძალებში სრული საბრძოლო მზადყოფნაა გამოცხადებული! — ამბობს ტრამპი.

## მერკელი: „აშშ-ჩრდილოეთ კორეის კრიზისი სამხედრო გზით ვერ გადაიჭრება“

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ აშშ-ჩრდილოეთ კორეის კრიზისი მშვიდობიანად უნდა გადაწყდეს.

— სამხედრო გზით მისი გადაჭრა შეუძლებელია! — თქვა მერკელმა.

კანცლერმა აღნიშნა, რომ გერმანია მზად არის, კონფლიქტის მოგვარებაში ჩაებას და მისი მშვიდობიანი მეთოდებით გადაჭრას ხელი შეუწყოს.

## იაპონიამ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა სრულ მზადყოფნაში მოიყვანა

აშშ-ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობა იძაბება. იაპონიამაც თავისი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა სრულ მზადყოფნაში მოიყვანა.

— ჩვენ მზად ვართ, ჩრდილოეთ კორეის რაკეტები ჩამოვაგდოთ, — ამბობს იაპონიის პრემიერი აბე.

## მაიკ პენსი ლათინურ ამერიკაში ტურნეს იწყებს

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი მაიკ პენსი ლათინურ ამერიკაში ტურნეს იწყებს. ის მოინახულებს ჩილეს, კოლუმბიას, პანამას, არგენტინას.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პენსის ვიზიტმა შესაძლოა ხელი შეუწყოს ვენესუელის კრიზისის მშვიდობიანი მეთოდებით განმუხტვას.

## გერჰარდ შრიოდერი როსნეფტის დირექტორთა საბჭოში შეიყვანეს



გერმანიის ექსკანცლერი და პუტინის მეგობარი გერჰარდ შრიოდერი როსნეფტის დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანეს. სათანადო განკარგულებას პრემიერმა მედვედევმა მოაწერა ხელი.

— აღნიშნული განკარგულება რუსეთის მთავრობის საიტზე გამოქვეყნდა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ჩინურმა სამთავრობო გაზეთმა ამერიკელები და ჩრდილოკორეელები გააფრთხილა



ჩინურმა სამთავრობო გაზეთმა გლობალ თაიმსმა აშშ-ჩრდილოეთ კორეას შორის კრიზისს ანალიტიკური სტატია მიუძღვნა. მასში, ფაქტობრივად, ჩინეთის ხელისუფლების პოზიციაა დაფიქსირებული.

სტატიაში მკაცრად არის გაკრიტიკებული ჩრდილოეთ კორეის აგრესიული პოლიტიკა, დაუსრულებელი სარაკეტო გამოცდები, მუქარები ამერიკელთა მიმართ და ა.შ. სტატიის ავტორი ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში ჩინეთის დახმარების იმედი ნუ ექნებათ.

— თუკი ჩრდილოეთ კორეამ თავისი მუქარის აღსრულება ანუ კუნძულ გუამზე განთავსებული ამერიკული ბაზის განადგურება მოისურვა, ხოლო აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა საპასუხო ღონისძიებები განახორციელეს, ჩინეთი ამ დაპირისპირებაში ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებს, — წერს გლობალ თაიმსი.

ამავე დროს, სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ პეკინი აშშ-ის პრეზიდენტის რიგი გამონათქვამებით შეშფოთებულია. განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია ფრაზამ ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის მოახლოებული აღსასრულის შესახებ.

— თუკი აშშ და სამხრეთ კორეა ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე შეიჭრებიან იქაური ხელისუფლების დასამხობად, ჩინეთი ამას მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით შეეწინააღმდეგება, — ნათქვამია სტატიაში.

ჩინეთის ხელმძღვანელმა სი ცზინპინმა როგორც აშშ-ის, ისე ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელებს ურჩია, უფრო თავშეკავებულნი იყვნენ.

— ჩემი აზრით, ორივე მხარემ კონფრონტაციული რიტორიკისაგან თავი უნდა შეიკავოს და კონფლიქტი მშვიდობიანი გზებით დაარეგულიროს, — ამბობს სი ცზინპინი.

## ლავროვი: „ყირიმი ბლოკადაში მოქცეულ ლენინგრადს მაგონებს!“



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ ყირიმში უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა. არსებობს პრობლემები ნახევარკუნძულის ელექტროენერგიით მომარაგებაში, არ არის სასმელი წყალი. ამან საკურორტო სეზონის ჩაშლა გამოიწვია. რუსეთს ყირიმის შენახვა უზარმაზარი თანხა უჯდება.

— ყირიმი ჩვენი ეკონომიკისთვის უმძიმეს ტვირთად გადაიქცა. ამაზე ჩვენმა ოკეანისგაღმელმა პარტნიორებმა იზრუნეს, — თქვა ლავროვმა.

ამავე დროს, მინისტრმა ნახევარკუნძულის უკრაინისთვის დაბრუნება გამორიცხა. ლავროვის აზრით, უკრაინაში თურმე ნაცისტური გადატრიალება მოხდა, ხელისუფლებაშიც ნაცისტები არიან. ის ფაქტი, რომ პოროშენკო და მისი გუნდი ძალაუფლებას ინარჩუნებენ, რუსეთს ფრიად სამწუხარო დასკვნის გაკეთებისაკენ უბიძგებს:

— დასავლეთი, უწინარეს ყოვლისა კი აშშ, უკრაინას მხარს უჭერენ. ეს ერთი. მეორეც — უკრაინელი ხალხის უმრავლესობა ნაცისტური იდეოლოგიით არის მოწამლული, — ამბობს ლავროვი.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, მინისტრი ყირიმის უკრაინისათვის დაბრუნებას გამორიცხავს.

— დღეს ყირიმი ჰიტლერელთა ბლოკადაში მოქცეულ ლენინგრადს მაგონებს! როგორც ლენინგრადის ჩაბარება იქნებოდა უზნეობა, ასევე უზნეობაა ყირიმის უკრაინისათვის დაბრუნება! — აცხადებს ლავროვი.

## რუსეთი–ტატარსტანი: ხელშეკრულებას ვადას არ გაუგრძელებენ



ამოიწურა ვადა რუსეთ-ტატარსტანის ხელშეკრულების, რომლის ძალითაც რესპუბლიკას რფ-ს ფარგლებში განსაკუთრებული სტატუსი ენიჭებოდა.

— ეს სტატუსი ტატარსტანს ბევრ უფლებას არ ანიჭებდა, მაგრამ, ასე თუ ისე, ტატარსტანის ხელმძღვანელები კრემლთან ურთიერთობაში თანასწორუფლებიან პარტნიორებად გრძნობდნენ თავს, — იტყობნება ბი-ბი-სი.

პუტინის თანაშემწე დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ რუსეთ-ტატარსტანის ხელშეკრულებისათვის ვადის გაგრძელება არ მოხდება. ტატარსტანსაც იგივე სტატუსი ექნება, რაც რფ-ში შემავალ სხვა რესპუბლიკებს.

— ამ ეტაპზე ტატარსტანში არავითარი წინააღმდეგობა არ იქნება. ტატარსტანის ელიტა არსებულ სიტუაციას შეეგუება, — იტყობინება ბი-ბი-სი.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ახლა ჩეჩნეთის რესპუბლიკის ჯერი დადგება. ჩეჩნეთის ამჟამინდელი ხელმძღვანელი კადიროვი ერთადერთია, რომელსაც საკუთარი შეიარაღებული ფორმირებები გააჩნია და რუსეთის საერთო-სამართლებრივი სივრციდან ამოვარდნილია. ჩეჩნეთში მოქმედებენ შარიათის სასამართლოები, მიმდინარეობს ისლამიზაციის პროცესი და ა.შ.

## აშშ-ის პრეზიდენტი ვენესუელას ემუქრება

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ვენესუელაში შექმნილი მდგომარეობით შეშფოთებულია. განსაკუთრებით მისი შეშფოთება საკონსტიტუციო ასამბლეის „არჩევნების“ შემდეგ გაიზარდა.

— ვენესუელაში ძალადობა არ წყდება! მეტიც, არსებობს ესკალაციის საშიშროება! — თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ აშშ ვენესუელაში მასობრივი მკვლელობების ახალ სერიას არ შეეგუება.

— გვაქვს ამ ქვეყანაში წესრიგის აღდგენის რამდენიმე სცენარი. არ გამოვრიცხავ, რომ საამისოდ აშშ-ს შეიარაღებული ძალებიც გამოვიყენოთ, — თქვა ტრამპმა.

თავის მხრივ, თავდაცვის მინისტრმა მატისმა პრესასთან საუბარში აღნიშნა, რომ ვენესუელაში ამერიკული არმიის გამოყენების საკითხი პენტაგონში არ განიხილება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.**

**ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.**

**მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

- ნანა ქიბროწაშვილი — ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები. გარანტიით! ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ჩხუბი სტადიონზე და ჩაშლილი თამაში

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 22 ტური სკანდალური და უდისციპლინო გამოდგა. მართალია, ტურის კიდევ 2 თამაშია დარჩენილი, მაგრამ ის, რაც თბილისის მიხეილ მესხის სტადიონზე მოხდა, არ უნდა ხდებოდეს.

თბილისის კოლმოტივისა და ქუთაისის ტორპედოს მატჩი ჩაიშალა. 88-ე წუთზე მსაჯებმა ორივე გუნდი მოედნიდან გაიყვანეს. მიზეზი ქუთაისელი გულშემატკივრები არიან, რომლებმაც ჯერ თამაშის დასაწყისში ისროლეს მოედანზე პიროტექნიკა, შემდეგ მატჩის მიწურულს. გუნდების მოედნიდან გასვლის შემდეგ კი, გულშემატკივრებს შორის ხელჩართული ჩხუბიც გაჩაღდა. მეტიც, ერთი ლოკომოტივის ფანი ტრიბუნიდან ძირს გადააგდეს...

ცხადია, ქუთაისელ გულშემატკივართა საქციელის გამართლება არ შეიძლება და სადისციპლინო კომიტეტი მათ საკადრის სასჯელს გამოუტანს, მაგრამ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ არც მასპინძელი გუნდის ხელმძღვანელობა აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე – მათ ვერ შეძლეს მატჩის უსაფრთხოება.

მატჩი ორშაბათს დასრულდება – გადაწყვეტილება სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებამ ეროვნული ლიგის დებულების შესაბამისად მიიღო.

ხოლო მომხდარ ინციდენტზე სფფ-ის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტი იმსჯელებს, რომლის სხდომაც სამშაბათს, 15 აგვისტოს ჩატარდება.

ახლა კი ტურის სხვა მატჩები...

**სამტრედია-დინამო (თბ) 1:1**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

0:1 მიქელთაძე (87), 1:1 სამუშია (92)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, სანდოხაძე, კასრაძე, ბალდე, მჭედლიშვილი, გ.მანჯგალაძე (მარკოზაშვილი 72), დათუნაიშვილი, რაჟამაშვილი, ჯიქია (სამუშია 77), საბანაძე, გიი

**დინამო:** რევიშვილი, გეგეჭკორი, კობოური, ლოჩოშვილი (კუცია 7), თევზაძე, ქარდავა, ნინუა (ალიუ 93), შულაია, ჩაკვეტაძე, მიქელთაძე, კოვტალიუკი (ქოჩლაძე 60)

მატჩი თბილისელთა სახიფათო საჯარიმო ჩაწოდებით დაიწყო, ბოლო მომენტში გიორგი ჩაკვეტაძის ჩაწოდებულ ბურთს ლუკა ლოჩოშვილი ვერ შეწვდა, რომელმაც მალევე ტრავმა მიიღო და დინამოს მთავარ მწვრთნელს იძულებითი ცვლილება მოუწია.

მე-12 წუთზე დინამომ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. სტუმართა სწრაფი კონტრშეტევა ჩაკვეტაძემ წამოიწყო, ბურთი მიქელთაძემ მიიღო, ტექნიკურადაც ითამაშა, მაგრამ დარტყმული ბურთი ოდნავ ააცილა მასპინძელთა კარს. საპასუხოდ მე-20 წუთზე ლაშა კასრაძემ ითამაშა დასწრებაზე და ბურთი დინამოელთა კარის ხარიხას გაარტყა. 41-ე წუთზე დინამოს კარი დავით ჯიქიას ძლიერად დარტყმულის შემდეგ ნუკრი რევიშვილმა იხსნა და პირველი ნახევარი ესეც დასრულდა.

მეორე ტაიმი მიქელთაძის სახიფათო დარტყმით განახლდა, ბურთი ომარ მიგინეიშვილმა მოიგერია. მომდევნო შეტევაში გიორგი კუციას დარტყმული გამოდგა არაზუსტი. ამის შემდეგ მატჩი ურთიერთშეტევებში, მაგრამ რეალური სახიფათო მომენტების



გარეშე გაგრძელდა.

გადამწყვეტი დასკვნითი ნაწილი გამოდგა: 87-ე წუთზე თბილისელებმა კონტრშეტევა წამოიწყეს, მიქელთაძე მეტოქის კარისკენ გაიჭრა და ზუსტი დარტყმით დაასრულა შეტევა – 0:1.

მასპინძლებმა წონასწორობა 92 წუთზე აღადგინეს: კასრაძის დაწყებული შეტევა საჯარიმოში გიიმ გააგრძელა, გურამ სამუშიამ კი ეფექტურად, „მაკრატელა" დარტყმით დაასრულა და თამაშიც 1:1 დამთავრდა.

**დილა-საბურთალო 0:2**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

0:1 ხარაიშვილი (54), 0:2 ბიძინაშვილი (80)

**დილა:** ბეგაშვილი, პაპავა, რაზმაძე, კუსიანი, ტარავალიე (აშორტია 80), აბუბაკარი, სოფრომაძე, კირკიტაძე (ალპასანი 46), ფლავიო, ძარია (ძარია 61), პედრინიო

**საბურთალო:** კუპატაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, მამუჩაშვილი, შინდაგორიძე, ხარაიშვილი, ცნობილაძე, ლაკვეხელიანი (ნადარაია 63), თარხნიშვილი, კოხრეიძე (ნდუე 64), ვოლკოვი (ბიძინაშვილი (76).

გიორგი ჭიაბრიშვილის საბურთალომ, რომელიც გორს სტუმრობდა, ადგილობრივ დილას 2:0 აჯობა და გათამაშების ცხრილში მე-4 პოზიციაზე გადაინაცვლა. 22-ე ტურის შემდეგ, დედაქალაქელებს 32 ქულა დაუგროვდათ.

პირველი ტაიმი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა, თუმცა ანგარიშის გახსნა დავით ვოლკოვს შეეძლო, მაგრამ ახლო მანძილიდან სასწაულებრივ ვერ გაიტანა. 35-ე წუთზე ხელსაყრელი მომენტი ლუკა ლაკვეხელიანსაც შეექმნა, თუმცა შედეგიანი დარტყმა ვერ განახორციელა. მალევე მასპინძლებსაც შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ საბურთალოს მცველებმა კარგად ითამაშეს და განმუხტეს მდგომარეობა.

მეორე ნახევარში თბილისელებმა 2 გოლი გაიტანეს და საბოლოოდ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს. 54-ე წუთზე ნოდარ იაშვილის დარტყმის შემდეგ, მეკარემ ბურთის მოგერიება შეძლო, თუმცა ყველას გიორგი ხარაიშვილმა დაასწრო და ახლო მანძილიდან 1:0 გახადა. მეორე გოლი კი ცვლილებაზე შესულმა ფეხბურთელებმა შექმნეს – ცოტნე ნადარაიამ თამაში თავის თავზე აიღო, გზად რამდენიმე მეტრი გაირბინა და საჯარიმოში ირაკლი ბიძინაშვილს მოძებნა, რომელმაც ვარდნაში მეორედ შეარხია მასპინძელთა კარის ბადე. საბოლოოდ საბურთალომ მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა და აქტივს მორიგი ქულები შემატა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 22 | 16 | 2 | 4 | 55-16 | 50 |
| 2.ტორპედო | 21 | 13 | 5 | 3 | 31-14 | 44 |
| 3.სამტრედია | 22 | 13 | 4 | 5 | 34-22 | 43 |
| 4.საბურთალო | 22 | 10 | 2 | 10 | 31-27 | 32 |
| 5.ლოკომოტივი | 21 | 9 | 3 | 9 | 35-29 | 30 |
| 6.ჩიხურა | 21 | 9 | 3 | 9 | 28-33 | 30 |
| 7.დინამო (ბთ) | 21 | 7 | 2 | 12 | 17-26 | 23 |
| 8.დილა | 22 | 5 | 7 | 10 | 24-33 | 22 |
| 9.კოლხეთი | 21 | 4 | 7 | 10 | 18-35 | 19 |
| 10.შუქურა | 21 | 1 | 5 | 15 | 16-54 | 8 |

# საქართველოს ნაკრები პლეი ოფში გასვლის შანსს ინარჩუნებს

თბილისში მიმდინარე 19 წლამდე მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის მატჩები დასასრულს უახლოვდება და ბევრი რამ გარკვეულია. გასარკვევია მთავარი – გავა თუ არა საქართველოს ნაკრები ჯგუფიდან.

**ბ ჯგუფი**

**საქართველო-გერმანია 25:41**

ბექა ორჯონიკიძის გუნდისთვის მთავარი თამაში ჩილეს ნაკრებთან ექნება. სადღეისოდ კი, ჩვენები ჯგუფში მე-5 ადგილზე არიან, სამხრეთამერიკელები – ბოლოზე. ბოლო ტურში ჩვენებისა და ჩილეს მატჩის პარალელურად კონკურენტი ალჟირი იაპონიას დაუპირისპირდება და ნაწილობრივ იმ შეხვედრის შედეგზეც იქნება დამოკიდებული ჩვენი გუნდის ბედი. საქართველომ თუ მოიგო, დიდი ალბათობით, მერვედფინალში ვნახავთ, თუმცა მომდევნო ეტაპზე თამაშის გაგრძელების სხვა ვარიანტებიც არსებობს.

ახლა მატჩი: ჩვენები ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტ გერმანიასთან დამარცხდნენ. სატურნირო თვალსაზრისით შეხვედრას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, გერმანია უკვე რამდენიმე დღეა მერვედფინალშია, ჩვენების პერსპექტივაზე კი ზემოთ ვთქვით.



სანახაობრივად მატჩი დიდი ვერაფერი გამოდგა. საამისო მოლოდინი არც იყო. გერმანია რომ დიდი ანგარიშით გაიმარჯვებდა დიდი წინასწარმეტყველება საჭირო არც იყო. ჩვენები 16 ბურთიანი სხვაობით – 25:41, მაგრამ უარესიც შეიძლებოდა – მეკარე სანდრო ხანდოლიშვილმა ბოლო წუთებზე გერმანელების რამდენიმე ურთულესი დარტყმული მოიგერია. საპირისპირო კართან კი ხაზეინ რუსტამოვი გამოირჩა, ვინც მეტოქეს 6 გოლი გაუტანა.

ბექა ორჯონიკიძე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

– ვფიქრობ, გერმანია ჩემპიონობის მთავარი ფავორიტია. ცხადია, ჩემი ბიჭების თამაშით და შედეგით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ამ შეხვედრაში ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იმ ტაქტიკური ვარიანტების დამუშავება იყო, რის გამოყენებასაც ჩილესთან გადამწყვეტ მატჩში ვაპირებთ. ძალიან გვინდა ჩვენი ქომაგი გავახაროთ.

**იაპონია-ჩილე 35:27**

მერვედფინალის საგზურისთვის ბრძოლაში საქართველოს ნაკრების უპირველესმა კონკურენტმა ჩილემ იაპონიასთან მაგრად კი იბრძოლა, მაგრამ გაცილებით ძლიერ მეტოქესთან მაინც ვერაფერი განაწყო. სამხრეთამერიკელებისთვის იაპონიასთან მოგებას სატურნირო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომაც იყვნენ ასე ძლიერ დამუხტულნი. ყოველ გოლს ზედმეტად ემოციურად აღნიშნავდნენ, მაგრამ ბოლოს ტაბლოზე 35: 27 ამომავალი მზის ქვეყნის სასარგებლოდ აციმციმდა.

ჩილემ პირველი ტაიმიც დათმო. ყველაზე ახლოს ისინი იაპონელებთან მეორე ტაიმის დასაწყისში იყვნენ, როცა დრაგო გომესმა ანგარიშში სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირა, მაგრამ ეგ იყო და ეგ, მერე იაპონიამ ისევ დაიბრუნა უპირატესობა და ნელ-ნელა სოლიდურადაც დაწინაურდა. უპირატესობა ცუტომუ ტოკოროს შეგირდებმა ბოლომდე შეინარჩუნეს.

ჩილეს ჯგუფში ყველა წაგება აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯგუფიდან გასვლის შანსი კიდევ აქვს. თუ სამხრეთამერიკელებმა საქართველოს 3 ბურთიანი სხვაობით მოუგეს და ალჟირმა უმოტივაციო იაპონიასთან წააგო, მერვედფინალში სწორედ ჩილე ითამაშებს, თუმცა, იმედია, ეს სიტყვები სიტყვებადვე დარჩება.

**ისლანდია-ალჟირი 37:27**

კუნძულელებმა კიდევ ერთი ადვილი გამარჯვება იზეიმეს. ბოლო ორი ტურია, ბიარნი ფრიცონი ძირითადი შემადგენლობით იწყებს, თუმცა პირველი ტაიმის შუიდან მატჩის ბოლომდე სათადარიგოებს აძლევს შანსს და ისინიც ამართლებენ – 2 შეხვედრაში გატანილი 79 გოლი, ვფიქრობთ, ამის დასტურია.

15:13 მოიგო ისლანდიის ნაკრებმა პირველი ტაიმი. კუნძულელთა შორის ყველაზე შედეგიანი, ტრადიციულად, მე-14 ნომერი, მარჯვენა შუამარბი ტეიტურ ორნ ეინარსონი გახლდათ: მან ხუთი გოლი გაუტანა მეტოქეს, მათ შორის თავისი გუნდის პირველი სამი ბურთი. ტაიმის თითქმის ნახევარი ეინარსონმა სათადარიგოთა სკამზე გაატარა – ნათელია, რომ მწვრთნელი გუნდის ერთ-ერთ ლიდერს დასვენების საშუალებას აძლევს, ბოლო ტურში გერმანიის ნაკრებთანაა მნიშვნელოვანი პაექრობა, გარდა ამისა, ისლანდიას ხომ პლეი ოფიც განაღდებული აქვს.

პირველი ტაიმი მეტნაკლებად თანაბარი გამოდგა, მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: 34-ე წუთზე ისლანდია 19:13-ს იგებდა, 47-ე წუთზე ანგარიში 25:17 იყო, კიდევ ერთ წუთში კი ევროპელები პირველად დაწინაურდნენ 10 ბურთით – 27:17. ამის შემდეგ ერთ მომენტში 13 ბურთითაც დაწინაურდა, თუმცა საბოლოოდ 37:27 იმარჯვა.

**დ ჯგუფი**

**ესპანეთი-მექსიკა 33:18**

ესპანეთის ნაკრებმა ჯგუფურ ეტაპზე თავისი გასაკეთებელი საქმე საწყის 3 ტურში გააკეთა, მოუგო რა უშუალო კონკურენტებს რუსეთს, ტუნისს, სერბეთს და პლეი ოფის საგზური ვადაზე ადრე გაინაღდა. მექსიკის ნაკრები არა მხოლოდ დ ჯგუფის, საერთოდ მსოფლიოს ჩემპიონატის უსუსტესი გუნდია.

ეჭვგარეშეა, რომ ესპანელებს ცენტრალური ამერიკის წარმომადგენლებთან გარანტირებული მოგება ჰქონდათ დაგეგმილი. გასარკვევი მხოლოდ ის იყო რა ჰანდიკაპით დაამარცხებდნენ მეტოქეს.

პირველი ტაიმი პირენეელებმა 18:8 მოიგეს. წინა ტურში სერბეთთან მძიმე შეხვედრის შემდეგ, სადაც ესპანელებს გასამარჯვებლად მაქსიმუმის გაღება და თავიანთი ოსტატობის სრულად გამოვლენა დასჭირდათ, დღეს ცდილობდნენ ძალების დაზოგვით ეთამაშათ. მოწინააღმდეგეც ისეთი ჰყავდათ ამის ფუფუნებას საკუთარ თავს აძლევდნენ. ასე ნება-ნება თამაშით ესპანელებმა 33:18 მოიგეს, ხოლო მექსიკა იმითაც კმაყოფილი უნდა იყოს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა.

**სერბეთი-სლოვენია 23:36**

მსოფლიოს ვიცეჩემპიონმა სლოვენიამ ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა: იანეზ კლემენჩიჩის გუნდმა ამჯერად სერბეთი გაანადგურა – 36:23. პირველ ტურში ტუნისთან მარცხის შემდეგ ბალკანელებმა მექსიკა და რუსეთი დაამარცხეს და ახლა ოთხივე თამაშის მომგებ ესპანეთს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებიან. უკანასკნელ, მეხუთე ტურში, სლოვენიელები სწორედ ესპანელებს დაუპირისპირდებიან.

სლოვენიელებმა პირველი ტაიმი 20:10 მოიგეს. მეტოქესთან შედარებით გამარჯვებულები მრავალფეროვნად უტევდნენ, დაცვაში ყურადღებით თამაშობდნენ, სერბებს კი, თავის მხრივ, თავდასხმისას სიზუსტე აკლდათ. სიტუაცია არც მეორე ნახევარში შეცვლილა და სლოვენიელთა 13-ბურთიანი სხვაობა საბოლოო ანგარიშში.

**ტუნისი-რუსეთი 31:30**

რუსეთის ნაკრები გამარჯვების შემთხვევაში პლეიოფში გასასვლელად დიდ ნაბიჯს გადადგამდა, ტუნისი კი მარცხით საქმეს ირთულებდა, რადგან ნიკოლაი ჩიგარევის შეგირდებს ბოლო ტურში მეტოქედ უსუსტესი მექსიკის ნაკრები ჰყავთ, ხოლო აფრიკელებს გაცილებით მაღალი დონის სერბეთი.

მატჩამდე სპეციალისტები ფავორიტად ტუნისს მიიჩნევდნენ, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ აფრიკელები თითქმის მთელი მატჩის მანძილზე მდევრის როლში იმყოფებოდნენ და პირველად მხოლოდ მეორე ნახევრის მე-17 წუთზე დაწინაურდნენ, როდესაც ანგარიში 25:24 გახადეს. მაქედან მოყოლებული ტუნისს მოწინააღმდეგისთვის წინ გასვლის საშუალება აღარ მიუციათ და საბოლოოდ 31:30 მოიგეს.

ამ გამარჯვებით ტუნისი ჯგუფში 6 ქულას აგროვებს და პლეი ოფის საგზურს ინაღდებს, ხოლო რუსები კვლავ 2 ქულის ამარა რჩებიან.

## შედეგები

### 12 აგვისტო

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

უოტფორდი-ლივერპული ............. 3:3
ვესტ ბრომვიჩი-ბორნმუთი ............ 1:0
კრ.პალასი-ჰადერსფილდი ............ 0:3
საუთჰემპტონი-სუონსი ................ 0:0
ჩელსი-ბარნლი ............................ 2:3
ევერტონი-სტოკი ......................... 1:0
ბრაიტონი-სიტი ........................... 0:2

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-იფსვიჩი ........................ 1:2
ბირმინგემი-ბრისტოლი ................ 2:1
ბრენტფორდი-ნოტინგემი ............. 3:4
დერბი-ვულვზი ............................ 0:2
კარდიფი-ასტონ ვილა ................. 3:0
ლიდსი-პრესტონი ........................ 0:0
მილუოლი-ბოლტონი ................... 1:1
რედინგი-ფულემი ........................ 1:1
ჰალი-ბარტონი ............................ 4:1
უენსდი-ქპრ ................................ 1:1
მიდლსბრო-შეფილდი ................... 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანტი-მარსელი ........................... 0:1
ამიენი-ანჟე ................................ 0:2
ბორდო-მეცი ............................... 2:0
კანი-სტ.ეტიენი ........................... 0:1
ტულუზა-მონპელიე ...................... 1:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

სოშო-ლანსი ................................ 3:2

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ვენლო-სპარტა ............................. 3:0
პსვ-ალკმაარი .............................. 3:2
ვიტესი-ბრედა ............................. 4:1
ერაკლესი-აიაქსი ......................... 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა დივიზიონი**

მორეირენშე-ფეირენშე ................. 0:0
ბელენენსეში-მარიტიმუ ............... 1:0
ბოავიშტა-რიუ ავე ........................ 1:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-როსტოვი .............................. 1:4
ცსკა-სპარტაკი ............................. 2:1
ანჟი-დინამო ................................ 1:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰამილტონი-დანდი ....................... 3:0
კილმანროკი-ჰართსი ..................... 0:1
რეინჯერსი-ჰიბერნიანი ................ 2:3
როსი-აბერდინი ............................ 1:2
სტ.ჯონსონი-მოზერველი ............... 4:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ალტახი-ზალცბურგი .................... 0:1
აუსტრია-ლინცერი ....................... 2:0
სტ.პოლენი-მატერსბურგი ............ 0:0
შტურმი-ვოლფსბერგერი .............. 2:1

**ბელგია. 1 დივიზიონი**

მეხელენი-გენტი ......................... 1:1
ლოკერენი-მუსკრონი .................. 0:2
ეუპენი-კორტრაიკი ..................... 1:2
ოსტენდე-ბევერენი ..................... 0:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკხისარი-სივასი .......................... 1:0
გენჩლერი-ქარაბუქი ................... 1:1
ალანია-ქაშიმფაშა ....................... 1:3
გიოზთეფე-ფენერბახჩე ............... 2:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

პლზენი-სიგმა ............................. 1:0
ბრნო-ბოჰემიანი 1905 ................. 0:0
სლოვაცკო-ბანიკი ...................... 5:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სანდეცია-პლოცკი ...................... 0:1
ლეხი-ზაგლებიე ......................... 1:1
ვისლა-კრაკოვია ........................ 2:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვერესი-ზორია ............................ 0:1
სტალი-ვორსკლა ........................ 0:1
ოლექსანდრია-შახტარი ............... 1:2

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-სონდერიისკე .............. 1:1
კოპენჰაგენი-ჰორსენსი ............... 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰალმშტადი-სირიუსი .................. 0:3

**ნორვეგია. ელიტსერია**

მიოლდე-რუსენბორგი ................. 1:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

საზოგადოება 2017, 14 აგვისტო, №191

## ქორწილში მიმავალი შვეულმფრენი შეცდომით ციხეში დაეშვა



ბანგლადეშში შვეულმფრენი, რომელსაც სტუმრები ქორწილში მიჰყავდა, შეცდომით კაშმპურის მკაცრი რეჟიმის ციხის ტერიტორიაზე დაეშვა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

მცველებმა სწრაფად მოაქციეს შვეულმფრენი ალყაში, ვინაიდან იფიქრეს, რომ საპატიმროდან გაქცევა მზადდებოდა. მათ დაკითხეს პილოტი და ქორწილში მიმავალი მგზავრები, რის შემდეგაც ისინი გაათავისუფლეს.

ციხის წარმომადგენელმა აღნიშნული ფაქტი დაადასტურა. კომპანიამ, რომელსაც შვეულმფრენი ეკუთვნოდა, ხელისუფლებას ინციდენტის გამო ბოდიში მოუხადა. თუმცა პილოტმა მომხდარის საკუთარი ვერსია წარმოადგინა. მან განაცხადა, რომ შვეულმფრენი საპატიმროდან ერთ კილომეტრში დასვა, ვინაიდან ის ადგილი, სადაც დაშვება იყო დაგეგმილი, დატბორილი აღმოჩნდა.

## ანტარქტიდაში რობერტ სკოტის დატოვებული ნამცხვარი იპოვეს

ანტარქტიდის ადერის კონცხზე მდებარე ქოხში აღმოაჩინეს მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩატარებული ექსპედიციის საკვების მარაგი, მათ შორის შეუჭმელი ნამცხვარი, რომელიც ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ყინვაში იდო.



ახალზელანდიური კვლევითი ორგანიზაციის მკვლევრები, რომლებმაც ნამცხვარი იპოვეს, ვარაუდობენ, რომ ის ბრიტანელი პოლარული მკვლევრის რობერტ სკოტის ექსპედიციამ დატოვა. მათ ქოხს 1911 წელს ჩაუარეს, როდესაც სამხრეთ პოლუსისკენ მიემართებოდნენ. ქოხში ასევე იპოვეს სარდინები, გაფუჭებული ხორცი და თევზი.

მართალია, თავად ნამცხვარი გადარჩა, თუმცა რკინის კოლოფისგან, რომელშიც ის იდო, თითქმის აღარაფერი დარჩენილა. მის ნარჩენებზე შეიძლება ასოების გარჩევა H&P – ბრიტანული საკონდიტრო ფირმის Huntley & Palmers-ს ლოგოტიპის.

ახალზელანდიური ორგანიზაციის მენეჯერი ლიზი მიკი ამტკიცებს, რომ ნამცხვარი საჭმელად გამოსადეგად გამოიყურება, თუმცა უსიამოვნო სუნი ასდის. მკვლევრებმა საუკუნოვანი ნამცხვრის დეგუსტაციაზე უარი განაცხადეს.

რობერტ სკოტს იმედი ჰქონდა, რომ ის სამხრეთ პოლუსის პირველი დამპყრობელი იქნებოდა. მან დანიშნულების პუნქტს 1912 წლის 17 იანვარს მიაღწია და იქ გაიგო, რომ რაულ ამუნდსენის ექსპედიციამ დაასწრო. უკანა გზაზე სკოტი და მისი თანამგზავრები დაიღუპნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლიანა ისაკაძე საქართველოში ჩამოფრინდა



მსოფლიოში აღიარებული ქართველი მევიოლინე ლიანა ისაკაძე საქართველოში ჩამოფრინდა.

მევიოლინეს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მუსიკალური ფესტივალის „ღამის სერენადების“ ორგანიზატორები, მეგობრები და მასმედიის წარმომადგენლები დახვდნენ.

ლიანა ისაკაძე რიგით მეცხრე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფთან ერთად საფესტივალო სამზადისის ბოლო ეტაპზე გადავიდა.

როგორც ფესტივალის ორგანიზატორები აცხადებენ, „ღამის სერენადების“ ერთგულ მსმენელს ელის ნამდვილი დღესასწაული, რომელიც აღარასდროს განმეორდება.

ფესტივალზე ტრადიცია არც წელს დაირღვევა და ლიანა ისაკაძესთან ერთად კლასიკური მუსიკის მოყვარულებისთვის ორკესტრი „მსოფლიო ვირტუოზები“ დაუკრავს. საღამოებს 4 დირიჟორი – ლიანა ისაკაძე, იუსტუს ფრანცი, მიხეილ გურფინკელი და დავით მუქერია უდირიჟორებენ.

„ღამის სერენადები“ 26 აგვისტოს საზეიმოდ ბათუმის სასტუმრო შერატონის საკონცერტო დარბაზში გაიხსნება და 31 აგვისტოს თბილისში, რუსთაველის თეატრში, გრანდიოზული გალაკონცერტით დაიხურება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

სპორტი

# ქართველმა კალათბურთელებმა ჩეხეთი იოლად დაამარცხეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ევრობასკეტამდე ყველა მატჩი მოსამზადებელია და სწორედ ამ კუთხით იყო დღევანდელი შეხვედრა მოგებაზე მეტად მნიშვნელოვანი. მიმდინარე ციკლში ნაკრებში პირველად ითამაშა ზაზა ფაჩულიამ, რომელიც მოედანზე უპრეცედენტოდ დიდხანს იმყოფებოდა ჩვენი გუნდის მეორე ნომინალურ ცენტრ გიორგი შერმადინთან ერთად. ამ 2 ტანმაღალს 3 ნომრის პოზიციიდან ზურგს უმაგრებდა 207 სანტიმეტრი სიმაღლისა და ზებუნებრივი ჯანის მქონე თორნიკე შენგელია. ამ ტაქტიკამ გაამართლა და საქართველომ მეტოქე ფარქვეშ დაჩაგრა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ჩეხეთს იან ვესელი და ანდრეი ბალვინი აკლდა და ნამატჩევ პრესკონფერენციაზეც სლავებმა წაგების დიაგნოზად სწორედ ეს დაასახელეს – საქართველოს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მეფარეები ჰყავს, ჩვენ კი ტანმაღალი მოთამაშეები გვაკლდა და აბა რას გავხდებოდითო.

ძნელია, ჩეხთა ებრაელ თავკაცს რონენ გინცბურგს არ დაეთანხმო. ფაჩულიას, შენგელიას და შერმადინის შემჩერებელი ჩეხებში ვერავინ მოინახა. ილიას ზუროსმა კარგად გამოსცადა ეგრეთ წოდებული „ორმაგი კოშკის: ტაქტიკა, როცა 2 ნომინალური ცენტრი ერთდროულად და ხანგრძლივად დგას მოედანზე. შერმადინი ცენტრი გახლდათ, ფაჩულია კი – თავდამსხმელი (4 ნომერი), რაც იდეალური ნაზავი გამოვიდა და ზაზასაც ბლომად პასები დაუგროვდა. ფაჩულიამ საბოლოოდ 8 შედეგიანი გადაცემა მიითვალა (სამმაგ დუბლამდე 2 პასი დააკლდა), შერმადინი უმეტესწილად ამ პასების დამაგვირგვინებელი იყო, დაზღვევაზე კი ამ 2 გოლიათს შენგელია ჰყავდა.

სწორედ ბოლო პერიოდში, როცა ეს 3 მოთამაშე იდგა მოედანზე, რომლებსაც უკანახაზელებმაც (გიორგი ცინცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი, დუდა სანაძე, მაიკლ დიქსონი) კარგად აუწყვეს ფეხი, ქართველების უპირატესობამ 21 ქულას მიაღწია. შეხვედრის დასრულებამდე 7 წუთზე ნაკლები რჩებოდა, მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო და დარჩენილ დროში ჩვენი ნაკრების მწვრთნელთა შტაბმა კიდევ არაერთო კომბინაცია თუ ტაქტიკური მონახზი გამოსცადა.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრებმა ჩეხეთთან კარგი ტესტი გაიარა...

**ვოიცეკ ჰრუბანი,** ჩეხეთის ეროვნული ნაკრების მოთამაშე:

– პირველ ტაიმში, ასე თუ ისე, წინააღმდეგობას ვუწევდით, მაგრამ მესამე მეოთხედში საქართველოს ნაკრებმა სადავეები ხელში აიღო, ჩვენც შეცდომები გვქონდა დაცვაში და დამსახურებულად გაიმარჯვა.

**რონენ გინცბურგი,** ჩეხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– ყოველთვის ძალიან მიხარია საქართველოში ჩამოსვლა, სადაც ბევრი ქართველია იქ ყოველთვის ძალიან კარგი განწყობაა. ასეა ისრაელშიც. თამაშს რაც შეეხება თამაშამდე, როდესაც საქართველოს ნაკრების შემადგენლობას გადახედავ, ხვდები რომ ძალიან დიდი უპირატესობა აქვს. ჩვენ ძალიან ბევრი მოთამაშე გვაკლია, როგორიც, მაგალითად, ვესელია ან ბალდინი. საქართველო ერთერთი საუკეთესო ნაკრებია ევროპაში. ჩვენთვის ეს ძალიან კარგი გამოცდილებაა, რადგან ძალიან ბევრი ახალგაზრდა გვყავს. ფარქვეშ შესამჩნევი იყო საქართველოს უპირატესობა. საბოლოო ჯამში წინახაზის შეჩერება ვერ შევძელით და ამან გადაწყვიტა მატჩის ბედი. საქართველოს წარმატებას ვუსურვებ ევრობასკეტზე და წარმატებებს ვუსურვებ საქართველოს ევრობასკეტზე.

**გიორგი შერმადინი,** საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრი:

– პირველ რიგში, ჩემს გუნდელებს ვულოცავ ამ გამარჯვებას. მართალია, ეს ამხანაგური შეხვედრაა, თუმცა მოგება ყოველთვის სასიამოვნოა. მომდევნო თამაშში შევეცდებით აუცილებლად გამოვასწოროთ ის შეცდომები, რაც დღეს გვქონდა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანდა დაცვაში. მე, თორნიკე და ზაზა შეხვედრის რაღაც პერიოდში ერთად ვიყავით მოედანზე, ამ ტაქტიკაზეც ვმუშაობთ. ძალიან მნიშვნელოვანია როგორ შევეწყობით გუნდი მოედანზე და როგორ ვითამაშებთ ევროპის ჩეპიონატზე. ძალიან კარგ გადაწყვეტილებებს იღებს ჩვენი მწვრთნელი და, იმედს ვიქონიებ, რომ ევრობასკეტზე ყველაფერი კარგად ჩაივლის.

**ილიას ზუროსი,** საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– პირველ რიგში, ტრადიციულად, ჩვენს ერთგულ გულშემატკივარს გადავუხდი მადლობას. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის მათი მხარდაჭერა, განსაკუთრებით ასეთ ცხელ ზაფხულში. ჩეხებთან ჩვენ კარდინალურად განსხვავებული თამაში ვითამაშეთ, რადგან ვეთამაშეთ ისეთ კარგად გაწვრთნილ გუნდს, რომლის მსაგვსი მანამდე არ გვქონია. მათ ძალიან კარგი 3-ქულიანების სროლა შეუძლიათ. მაღალი მოთამაშეებიც კი წარმატებულ სროლებს ახორციელებდნენ პერიმეტრიდან. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი გუნდის თამაშით. ჩვენ გამოვცადეთ სხვადასხვა კომბინაცია, რომელიც ვარჯიშებზე არ გაგვივლია და აქამდე არ გამოგვიყენებია. სანამ ათენის ტურნირზე წავალთ, უნდა დავხვეწოთ და აღვმოვფხვრათ ის პრობლემები დაცავასა და შეტევაში, რაც დღეს გვქონდა. წინ კიდევ 20 დღე გვაქვს და ევრობასკეტამდე კარგად უნდა მოვემზადოთ. ჩვენი მთავარი მიზანი დაცვის გაძლიერებაა. სამწუხაროდ, ევროპის ჩემპიონატზე ტრავმის გამო ვერ დაგვეხმარება ბექა ბურჯანაძე.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## სკანვორდი



1. კაცის სახის მქონე საახალწლო პური; 2. ... აპოლინერი; 3. ნიავი; 4. ამაღლებული ადგილი დედამიწაზე; 5. ერთეული ვექტორი; 6. დედამიწის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 7. ხელოვნების დარგი; 8. ნოტი; 9. ვინმესთვის ავის მდომი; 10. ციტრუსი; 11. უბანი თბილისში; 12. თურქი მემამულე (ძვ.); 13. კურცხალი; 14. ბატონი (პოლონურად); 15. ალგორითმული ენა; 16. ესპერანტოს ვარიანტი; 17. საესტრადო ან თეატრალური წარმოდგენა; 18. გარეშეთაგან დაფარული რამ; 19. მაწვნის მსგავსი პროდუქტი; 20. მსაჯული ძველ რომში; 21. ჭადრაკის ფიგურა; 22. ივლინ ... (მწერალი); 23. ცხენის კუდის ბეწვი; 24. ყვავილი; 25. ... ნოლტი; 26. შხამიანი გველი; 27. გულიანი ხვეული ნამცხვარი; 28. დამსჯელი რაზმების ჩაყენება დასახლებულ ადგილებში; 29. ქუთაისი (ძველად); 30. ... პაჩინო; 31. მუხის ნაყოფი; 32. საყდარი; 33. „დეკამერონის“ ავტორი; 34. შაშის მსგავსი თამაში; 35. ტროპიკული მარადმწვანე მცენარე დიდი, თეთრი ყვავილებით.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „როლექსი“; 2. ფეთხაინი; 3. ბრიგადა; 5. რადიაცია; 9. „ბაქშტაინი“; 13. შაოლინი; 15. ლუხუნი; 16. ჯილღაო; 18. ელადა.

**თარაზულად:** 4. ბოლერონი; 6. ბრეტიორი; 8. „ბენედიქტინი“; 10. ლოზუნგი; 11. ქადა; 12. ანდები; 14. ფლორა; 17. ტაიგა; 19. ცხუმი; 20. აღსარება; 21. იოდი; 22. რინოსკოპი; 23. კარდენი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კონკური; 2. ქართლი; 3. მოკასინი; 4. „სინოპეკი“; 7. კონდიტერი; 8. „ფრეჟიუსი“; 12. კაროტინი; 14. ესტაკადა; 16. ტყიბული; 17. სახიობა; 19. კები; 20. ბრნო.

**თარაზულად:** 5. მოწამეთა; 6. სტოკჰოლმი; 9. ლუგანო; 10. ლოპესი; 11. ტენგე; 13. შაშხი; 15. ესქილე; 18. წყალი; 21. ესტაკადა; 22. უიარაღო; 23. „ფილიპსი“.

## ასტროპროგნოზი

14 აგვისტოსთვის



**ვერძი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **კურო** – შესაფერისი დროა გარემოს შესაცვლელად და გასართობად. იზრუნეთ საკუთარ თავზე. **ტყუპები** – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **კირჩხიბი** – უსიამოვნებას თავიდან მხოლოდ დაკვირვებულობა და შორსმჭვრეტელობა აგაცილებთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **ლომი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. პლანეტები გირჩევენ, არ გადაიღალოთ. პარტნიორთან უთანხმოება თანამშრომლობის მომავალ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება. **ქალწული** – თქვენი პირადი მომხიბვლელობა იზრდება. ნებისმიერ პრობლემას იოლად და ძალდაუტანებლად მოაგვარებთ. **სასწორი** – არაკეთილისმსურველები თქვენთვის ზიანის მოყენებას ცდილობენ. დაუფიქრებელ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **ღრიანკალი** – დღეს ბევრი რამ შეიცვლება, როგორც ცხოვრების სტილი, ისე ადამიანებთან ურთიერთობა. **მშვილდოსანი** – პარტნიორებთან თანამშრომლობა ნაყოფიერია. გაიფართოვეთ ცოდნის არეალი, იკითხეთ წიგნები. **თხის რქა** – ვარსკვლავების კეთილგანწყობა გიბრუნდებათ. მძიმე პერიოდი დამთავრდა. გელით საინტერესო ახალი ნაცნობობა. **მერწყული** – ნებისმიერი უსიამოვნება ემოციის გარეშე მიიღეთ. საკმაოდ მშვიდი დღეა. **თევზები** – მიუხედავად დაძაბულობისა, სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გაუფრთხილდით ურთიერთობას კოლეგებთან.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები 6 თვით საქართველოში ჩამობრძანდება

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილები საქართველოს 6 თვით დაუბრუნდება. აღნიშნული შეთანხმება ორ ქვეყანას შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად იქნა მიღწეული.

საქართველოს საპატრიარქოს ჩართულობით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის და საგარეო საქმეთა სამინისტროები უზრუნველყოფენ საქართველოს რეგიონებში ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების ტრანსპორტირებას, გამოფენების მოწყობასა და საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას, სადაც განხილული იქნება ქეთევან დედოფალთან დაკავშირებული მემკვიდრეობის კვლევისა და კონსერვაციის საკითხები. დაგეგმილ კონფერენციას პორტუგალიის წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

ეროვნული მუზეუმის გარდა, ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილები გადასვენებული იქნება სამების ტაძარში და საქართველოს მასშტაბით ყველა ეპარქიაში და მორწმუნეებს მათი მოლოცვის საშუალება ექნებათ.



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით რესტავრირდა ქალაქ ლისაბონის გრასას მონასტრის სათავო ოთახის ქეთევან დედოფლის წამების ამსახველი პანო. 12 მეტრი სიგრძისა და 3 მეტრი სიმაღლის პანო, პორტუგალიური ხელოვნების ტრადიციული სტილით, მოჭიქული თიხის ფილებზე ლურჯი საღებავითაა შესრულებული. მასზე გამოსახულია ქეთევან დედოფლის ირანში ჩასვლა, წამება და შემდეგ ავგუსტინელი ბერების მიერ წმინდანის ნაწილების გადაცემა მეფე თეიმურაზისთვის.

ისტორიული წყაროების თანახმად, კახეთის დედოფალი ქეთევანი 1613 წელს შაჰ-აბასის ლაშქრობის დროს ტყვედ აიყვანეს. დედოფალმა უარი თქვა შეეცვალა სარწმუნოება, რის გამოც 1624 წელს ის ქალაქ შირაზში წამებით მოკლეს. დედოფლის წამების მოწმე პორტუგალიელმა მისიონერებმა ნეშტი მალულად ამოთხარეს და ისპაჰანის ავგუსტინელთა მონასტერში გადაასვენეს. მოგვიანებით კი მისიონერებმა ქეთევან დედოფლის სხეულის ნაწილები საქართველოში ჩამოაბრძანეს. ისინი ალავერდის ტაძარში 1723 წლამდე ინახებოდა, შემდგომ კი დაიკარგა. საქართველოსა და რუსეთის გარდა, ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები წაიღეს გოას წმინდა ავგუსტინეს სახელობის მონასტერში, ვატიკანსა და ბელგიაში.

გოაში მდებარე მონასტერი XIX საუკუნის დასაწყისში განადგურდა. ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებს სამეცნიერო ექსპედიციები ინდოეთში სხვადასხვა დროს ეძებდნენ. 2013 წელს ერთ-ერთმა ჟურნალმა გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც ამტკიცებდა, რომ გოაში მდებარე ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი ძვლები სავარაუდოდ ქეთევან დედოფალს ეკუთვნოდა. მათი ინფორმაციით, ქვის სარკოფაგში აღმოჩენილი მკლავის ძვლების დნმ-ს ანალიზმა აჩვენა, რომ დიდი ალბათობით ძვლებს ინდოეთთან კავშირი არ აქვს და ქართული წარმოშობის იყო.

ინდოეთის მხარესთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დედოფლის წმინდა ნაწილების საქართველოში დროებით ჩამობრძანების შესახებ.

# ანზორ ერქომაიშვილი იუბილარია



ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ რუსთავის სამხატვრო ხელმძღვანელი, საზოგადო მოღვაწე ანზორ ერქომაიშვილი იუბილარია.

ქართული ფოლკლორის პატრიარქის განსაკუთრებული ღვაწლი სამშობლოს წინაშე არაერთხელ აღინიშნა – წმინდა გიორგის ოქროს ორდენი, შოთა რუსთაველის, ექვთიმე თაყაიშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ბერძენიშვილის, იაკობ გოგებაშვილის, ივანე ჯავახიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის, საქართველოს სახელმწიფო პრემიები, ღირსების ორდენი. ლოტბარი სახელმწიფო კონსერვატორიის საპატიო პროფესორი და საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია. ჯილდოებისა და წოდებების ეს არასრული ჩამონათვალი ნაწილობრივადაც ვერ აღწერს ანზორ ერქომაიშვილის ღვაწლს ქართული ხალხური და სასულიერო მუსიკის მოძიების, შესწავლისა და მომავალი თაობებისთვის გადაცემის უაღრესად საჭირო საქმიანობაში. მის მიერ აღზრდილი თაობები დღეს თავად გადასცემენ ეროვნული მუსიკის საგანძურს ახალგაზრდებს.

რამდენიმე ათეულს ითვლის ანზორ ერქომაიშვილის მიერ შექმნილი ტელე და რადიო სიუჟეტები, გადაცემები, სტატიები, პუბლიკაციები, წერილები, წიგნები, აუდიო და ვიდეო გამოცემები, სანოტო კრებულები ჩაწერილი ცნობილი მომღერლებისგან და გაშიფრული ძველი აუდიოჩანაწერებიდან, რომელიც მთლიანობაში 500-ზე მეტი სიმღერაა, მოძიებული როგორც სამშობლოში, ასევე მსოფლიოს არქივებსა და ბიბლიოთეკებში.

მის მიერ დაარსებულმა ანსამბლმა რუსთავმა ეროვნული კულტურა გაიტანა 80-მდე ქვეყანაში, გამართა 5.000-ზე მეტი კონცერტი, ჩაიწერა 800-ზე მეტი სიმღერა. სამხატვრო ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი ანსამბლის საიუბილეო თარიღისთვის ემზადება და ახლანდელ შემადგენლობასთან ერთად გამოსაცემად ამზადებს ახალ წიგნს სახელწოდებით „ანსამბლი „რუსთავი“, 400 ქართული ხალხური სიმღერა“.

# ქეთევან კიკნაძე ფილმ „ტარიელ გოლუას“ გადარჩენას ითხოვს



რეჟისორ ლევან ხოტივარის ფილმ „ტარიელ გოლუას“ გადარჩენას მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ქეთევან კიკნაძე ითხოვს:

– გადაარჩინეთ ფილმი! დიდი ხნის მერე ქართულ არხზე გადიოდა „ტარიელ გოლუა“, რომელიც ლეო ქიაჩელის მიხედვით არის გადაღებული, თავიდან ბოლომდე ვუყურე, ვინაიდან აღარ მახსოვდა. ფილმის რეჟისორია ლევან ხოტივარი, კომპოზიტორი კი – შოთა მილორავა.

რა მსახიობები თამაშობენ, ყველა კინოვარსკვლავის თავმოყრაა, ეს საოცარია, ეს ნამდვილად კინოისტორიაა, გამოგიტყდებით, ფილმიც მომეწონა. ფილმში მონაწილეობდნენ აკაკი ვასაძე, ალექსანდრე ომიაძე, ვახტანგ ნინუა, დოდო აბაშიძე, ზურაბ ქაფიანიძე, თამარ ციციშვილი, დუდუხანა წეროძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ემანუელ აფხაიძე, ვანიჩკა საყვარელიძე, თქვენი მონა-მორჩილი.

ფილმი ძველდება და ფირი იბურება. არის იმის საშუალება, რომ აღადგინონ? წარსული მაინც დავიტოვოთ. ვინ იქნება ამაზე მზრუნველი ნეტავ?

ნამდვილი ლიტერატურაა, ჩვენ კი რაღაცებს ვიგონებთ. მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთ მსახიობებთან მომიწია შეხვედრა და მუშაობა, რამაც ჩემი სულიერი სამყარო გაამდიდრა და ჩემს შემოქმედებაში დიდი კვალი დატოვა.

# დათო ევგენიძე ქობულეთის თურქეთის პროვინციად მოხსენიებას აპროტესტებს

პოეტი და მუსიკოსი დათო ევგენიძე ქობულეთის თურქეთის პროვინციად მოხსენიებას სოციალურ ქსელში აპროტესტებს და მოუწოდებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, დროულად გაარკვიოს ეს მნიშვნელოვანი საკითხი:

– მიაქციეთ ყურადღება! ქობულეთი თურქეთის პროვინციაა რუკაზე! გთხოვთ, გააზიაროთ და მოვთხოვოთ პასუხი! იმედია, საგარეო საქმეთა სამინისტრო გაარკვევს, თუ რა ხდება!

# ჯანსუღ ჩარკვიანი ინსულტის დიაგნოზით რეანიმაციაშია მოთავსებული



პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი ინსულტის დიაგნოზით არამიანცის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული და აპარატზეა მიერთებული.

როგორც მისმა შვილმა, პუბლიცისტმა თაკო ჩარკვიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, მამამისი შეუძლოდ მოულოდნელად გახდა. მას ძალიან ცუდი პასკვილი მიუძღვნეს ერთ-ერთ გაზეთში. გავრცელებული ინფორმაციით, ჯანსუღ ჩარკვიანის ამჟამინდელ მდგომარეობაში პოეტ რეზო ამაშუკელს ადანაშაულებენ.

როგორც თაკო ამბობს, ის და მისი ოჯახი მთელი საქართველოს სიყვარულს გრძნობენ და სათითაოდ უხდის მადლობას იმ ადამიანებს, რომლებიც მამამისის მდგომარეობით შეწუხებული არიან.

# ანიტა რაჭველიშვილი ბათუმში კონცერტს გამართავს



როდესაც ანიტა რაჭველიშვილი მსოფლიო ტურნეს ასრულებს, შემაჯამებელი საღამო აუცილებლად საქართველოში იმართება და სად, თუ არა ბათუმში და სად, თუ არა ულამაზეს პიაცაზე.

23 აგვისტოს ბათუმის პიაცაზე წარმოდგენილი იქნება პროექტი „მუსიკა გვაერთიანებს“, რომლის მთავარი გმირიც მსოფლიოში აღიარებული მეცოსოპრანო ანიტა რაჭველიშვილი იქნება.

პროექტი, ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, ორ ნაწილად იქნება წარმოდგენილი. პირველი ნაწილი მთლიანად კლასიკურ ჟანრს დაეთმობა და ანიტა რაჭველიშვილი საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ცნობილ არიებს შეასრულებს. სიმფონიური ორკესტრი, კლასიკა, ტანგო, პროგრესული როკი, ზღვა და გაჯაზება – ეს კონცერტის მთავარი გზავნილებია.

კლასიკური ნაწილის დასასრულს კი აღიარებული მეცოსოპრანო მაესტრო ნიკოლოზ რაჭველთან, ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან და იტალიელ მუსიკოსებთან, ბენდ პროფუჟენ ერთად სრულიად განსხვავებულ ამპლუაში წარდგება მაყურებლის წინაშე. ამ ბენდთან ანიტას უმაგრესი ექსკლუზიური ნომრები აქვს მომზადებული.

# თამაზ ვაშაკიძეს ეკატერინბურგის სასამართლომ პოლიტდევნილის სტატუსი აღუდგინა



ქართველ ქორეოგრაფ თამაზ ვაშაკიძეს რამდენიმე თვის წინ რუსეთში პოლიტდევნილის სტატუსი შეუჩერეს. ამის გამო იგი ეკატერინბურგის ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელობამ ქორეოგრაფის თანამდებობიდან გაათავისუფლა.

პოლიტდევნილის სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილება ქორეოგრაფმა ეკატერინბურგის სასამართლოში გაასაჩივრა. მისმა ადვოკატმა სასამართლოს სარჩელით მიმართა, რათა თამაზ ვაშაკიძისთვის დევნილის სტატუსი დაებრუნებინა. სასამართლომ ქორეოგრაფის სარჩელი განიხილა და საკითხი დადებითად გადაწყვიტა – თამაზ ვაშაკიძეს პოლიტდევნილის სტატუსი დაუბრუნა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ავტომატურად სამსახურშიც აღადგინეს.

თამაზ ვაშაკიძის სტუდენტებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, რომ ქორეოგრაფის საქმეს გადახედონ და მისთვის გამოტანილ განაჩენს დეტალურად გაეცნონ.

თამაზ ვაშაკიძე 12 წელია, საქართველოდან რუსეთში საცხოვრებლად გადავიდა. ამის მიზეზი მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის მიერ ქორეოგრაფის დევნა გახდა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

თანავუგრძნობთ და ვიზიარებთ იასონ (გადუნი) დოლბაიას ღრმა მწუხარებას საყვარელი ვაჟიშვილის

**მამუკა დოლბაიას**

გარდაცვალების გამო!
ნათელში ამყოფოს უფალმა!

*კუსუნა და გოჩა მზარელუები*

თანავუგრძნობთ ალეკო დოლბაიას საყვარელი ბიძაშვილის

**მამუკა დოლბაიას**

გარდაცვალების გამო.

*კუსუნა და გოჩა მზარელუები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

ოთხშაბათი
14 აგვისტო

**06.00** მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** ტ/სერ. **"წინ" წარმატებისკენ"** **10.00, 02.15** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.00, 03.15** დღის მხ/ფ **"მისი მსახურის და"** (დ.დურბინი) **15.00, 04.45** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. **"ოფისი"** **18.30, 05.45** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. **"ცბიერი მოახლეები"** **22.00** ტ/სერ. **"მთავრობა"** **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **23.20** მხ/ფ **"სიყვარული თუ ფული"** (ბ.ზონენფელდი) **01.00** მხ/ფ **"ბიჭი კალიფორნიიდან"**(მ.შინი)

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

**07.00, 14.40** სერ. **"ელიფი"** **08.00, 16.00** სერ. **"ოჯახური პორტრეტი"** 7- 8 სერ. **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15** ქრონიკა **09.20** სერ. **"პატარძალი"** **11.20** სერ. **"ფიცი"** **12.30** სერ. **"ღირსების სახელით"** **17.35** სერ. **"ხაფანგი"** **18.45, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება"** **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. **"ძმა"** **22.30** სერ. **"ელ პრინსიპე"** 4 სერ. **00.00** მხ/ფ **"მკვლელის ტყვია"** **01.45** მხ/ფ **"ინგლისურის მასწავლებელი"** **03.30** მხ/ფ **"ბასტილიის დღე"** **05.00** მხ/ფ **"კონსპირატორი"**

**06.00, 18.45** სერ. **"კაცი"** **07.00, 19.45** სერ. **"დესპოტი ქმარი"** **08.00** სერ. **"ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები"** **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **09.10** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი"** **12.30** სერ. **"ვარსკვლავის დაბადება"** **13.55** სერ. **"ფერიჰას საიდუმლო"** **15.30** სერ. **"წარსულის ჩრდილი"** **20.03** სერ. **"დესპოტი ქმარი"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"**

**08.00** ან/ფ "ავატარი" **09.00** სერ. **"მონკი-4"** **13.00** სერ. **"ძვლები"** **17.00** სერ. **"ინტერესის ობიექტი 5"** **19.00** სერ. **"გრეის ანატომია 13"** **21.00** სერ. **"კრიმინალური რომანი"** **22.30** სერ. **"მისტერ რობოტი" 1"** **02.30** მხ/ფ **"გაქცევა"** **04.15** მხ/ფ **"სიცოცხლეზე მონადირე"** **06.00** მხ/ფ **"სახლი ტბასთან"**

**08.00** სერ. **"უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები" დედამიწის ფორმა** **09.00** მულტ/სერ. "სისი" **09.30** დოკ/ფ "მოგზაურობა საფრანგეთში" **10.25** ავტომანი **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20** ახალი ამბები **11.20** სერ. **"ყველაფერი ცხოველების შესახებ"** **11.50** მოდი გავიყაროთ **12.40** ბენეფისი **15.00** სერ. **"ბანდოლერა"** **16.25** Hellow თბილისი **18.00** ღია სტუდია **19.55** მე რომ ვიყო **20.00** სერ. **"ფოილის ომი"** **21.30** დე ფაქტო **22.35** სერ. **"სიყვარულსა და შიშს შორის** **0.00** მხ/ფ **"ჯოჯოხეთში"** **1.30** მოდი გავიყაროთ **03.00** ღია სტუდია **04.00** სერ. **"რაუ"**

**06.15** ღვთის სახლი "გაგრა" **06.35** პატერიკი-მაცხოვრის ფარული მოღვაწე **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** პატრიარქის ქადაგება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-კომოდო" **10.15** მხ/ფ **"ენი მწვანე სახურავების მამულიდან"** **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"გიორგობისთვე"** **13.35** "შუადღის სტუმარი"-მღვდელი იაკობ ჩიჩილიძე-მარხვა **13.55** "შუადღის სტუმარი"-დინი ვირსალაძე **14.20** დ/ფ "ველური ბუნება-ვეშაპმკვლელი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** სპექტაკლი **"სახელი ჩემი"-სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი** **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-ადამიანის ღვთის ხატად და მსგავსად შექმნა **18.15** ერთი დღე მონასტერში "ლიანა ისაკაძე" **18.35** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00** გზა, რომლითაც ვიარე "აკაკი შანიძე" **19.20** მიწათმოქმედი "წყლის ძიება და ნიადაგის ანალიზი" **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.25** კვირიაკის სიუჟეტი **20.40** ძილი ნებისა "იოსები ძმებს პატიობს" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი-მადლმოსილი მღვდელმთავარი **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა "ბედიანიდან ბედიანამდე" **22.00** დეკორატიული ფლორა "ხარისძირა" **22.15** შარავანდედი-"უნივერსიტეტის დაარსება,ს. კლდიაშვილი,დავით გვრიტიშვილი" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-წინასწარმეტყველი ოსია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან-პავლე ინგოროყვა **23.45** ღვთის სახლი "განთიადი და ბზიფი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.10** ჩვენი ფონდი "ისტორიული ვითარება XVII ს-ის აღმოსავლეთ საქართველოში" **00.30** კონცერტი

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**14 აგვისტოსთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.3902

ევრო — 2.8125

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0996

100 რუსული რუბლი — 3.9724

**ამინდის პროგნოზი 14 აგვისტოსთვის**




## 1 აგვისტოდან




ქართული დეტექტივი
მე-15 ტომი
მაია ბურჭულაძე
**უფასო ბილეთი წარსულში**
**ორშაბათის სიზმარი**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 20 ივლისიდან

შიო გვეტაძე
**მონანიება**
ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი




**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## ლონდონის სტადიონზე შიშველმა მამაკაცმა გარბენი მოაწყო

შიშველმა მამაკაცმა ლონდონის სტადიონის სარბენ ბილიკზე 100 მეტრზე მამაკაცებს შორის მძლეოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური გარბენის წინ გაირბინა. ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა თვითმხილველმა იუთუბიზე განათავსა.




მამაკაცი სარბენ ბილიკზე შეჯიბრების სტარტის წინ გამოჩნდა, რომელშიც იამაიკელი სპრინტერი უსეინ ბოლტიც მონაწილეობდა. დაცვის თანამშრომლები შიშველ მამაკაცს დაეწივნენ, დააკავეს და არენის ფარგლებს გარეთ გაიყვანეს.

რაც შეეხება თავად გარბენს, მრავალგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა ბოლტმა ფინიშის ხაზი მხოლოდ მესამემ გადაკვეთა, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონი ამერიკელი ჯასტინ გეტლინი გახდა.

## აშშ-ში უცნობი სხვის სახლში შეიპარა და დაალაგა



კოლუმბიის ოლქის ვაშინგტონის გარეუბანში უცნობი პირი შეიპარა სახლში, რომლის პატრონი დასასვენებლად იყო წასული და იქაურობა დაალაგა და მოაწესრიგა. ამ ინფორმაციას ასოშეიტედ პრესი ავრცელებს.

მოგზაურობიდან დაბრუნებულმა სახლის პატრონმა შენიშნა, რომ სახლი დალაგებული იყო. ზოგიერთი ნივთი იქ არ იდო, სადაც ის პატრონმა დატოვა, თუმცა დაკარგული არაფერი იყო.

სახლის პატრონი ამტკიცებს, რომ მას არ ჰყავს მოსამსახურე. პოლიციაში ფიქრობენ, რომ სახლში უკანონოდ შეაღწიეს. ექვმიტანილის აღწერილობის მიღება სამართალდამცავებმა ჯერ ვერ შეძლეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



ცოლმა და ქმარმა იჩხუბეს. ცოტა ხნის შემდეგ ქმარი ეუბნება:

– შარვალი გამიუთოვე.

– არა.

– საჭმელი მაინც მაჭამე, ქალო.

– არა.

– მამცემ?

– მარტო გადაკუზული.

– მარტო ეგრე ვითომ რატომაო?

– შენი დანახვაც არ მინდა...

●●●

მიხოს შვილმა ბანკიდან კრედიტი გამოიტანა, მთლიანად გაანიავა და ბოლოს ევროპაში გაიქცა. რამდენიმე თვის შემდეგ მამას პარიზიდან დაურეკა და ეკითხება:

– როგორ ხარ, მამი?

– როგორ ვიქნები, შვილო, კაკლის კარადა რომ გვქონდა, ხომ გახსოვს?

– მახსოვს.

– გაგვიყიდეს... საწოლები გახსოვს?

– მახსოვს.

– ეგეც გაგვიყიდეს... ახლა კიდევ ბანკიდან უნდა მოვიდნენ და ის ძველი ტახტიღა რომ დაგვრჩა, ისიც უნდა წაიღონ...

– ახლა რას შვრები, მამი?

– ახლა იმას ვფიქრობ, დედა რაღაზე მ...!!!

●●●

ქიმიის გაკვეთილზე მასწავლებელი მოსწავლეებს ცდებს ატარებინებს.

– ლამარა, რა ფერის სითხე მიიღე? – ეკითხება მასწავლებელი.

– წითელი!

– კარგია, ათიანი. დაჯექი. შენ, ვანო?

– ვარდისფერი!

– არა უშავს. რვიანი, დაჯექი. შენა, გიგი?

– შავი.

– გიგი, ორიანი, დანარჩენები დაწექით!

●●●

ქმარი სახლში დაბრუნდა და ხედავს, მის ცოლსა და ვიღაც მამაკაცს ისეთი სექსი აქვთ, რომ მისი მოსვლა ვერც კი შენიშნეს. კაცი კედელს მიეყუდა, სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, გააბოლა და მერე მშვიდად ეუბნება:

– მოგებულს მე ვხვდები!!!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სერია „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო – 100 წიგნი“ გრძელდება

**10 აგვისტოდან**
**ტომი 50**
**პინოჩეტი**




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**17 აგვისტოდან**
**ტომი 51**
**იულიუს კეისარი**




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**24 აგვისტოდან**
**ტომი 52**
**ლინკოლნი**




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## ქართველმა კალათბურთელებმა ჩეხეთი იოლად დაამარცხეს

**საქართველო-ჩეხეთი 87:76**

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა თბილისის მერიის თასის გათამაშება გამარჯვებით დაიწყო. ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ილიას ზუროსის გუნდს მეტოქეობას ამჯერად ჩეხეთის ნაკრები უწევს და გამარჯვებული 2 მატჩის ჯამში უნდა გამოვლინდეს.

პირველ მატჩში საქართველოს ნაკრებმა 87:76 იმარჯვა და თუკი მეორე და დასკვნით მატჩში 11-ქულიან უპირატესობას შეინარჩიუნებს, თბილისის მერიის თასს დაეპატრონება. ორგუნდიანი ტურნირი ბევრი არაფერი, მაგრამ ამ ეტაპზე უკეთესი მატჩებში მიღებული გამოცდილებაა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე



## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. მაღალი ბოჭკოვანი მცენარე; 8. ვენის ანთება; 9. სამხედრო მატარებლით ჯარების გადაყვანა; 10. წინდებული, აღნიშნავს რაიმე ბნელს; 12. კომიტეტი უნგრეთში; 13. ბიბლიური პერსონაჟი; 14. კლიმაქტერიული პერიოდი; 19. ანდამატი; 21. ქალაქი საფრანგეთში; 23. ბრინჯიანი საჭმელი; 24. გაზაფხულის თვე; 25. მოყვითალო მწვანე მინერალი; 26. თვალების უნებური მოძრაობა სხვადასხვა მხარეს.

**შვეულად:** 1. ქვითკირის სამარე; 2. ამაღლებული ადგილი ეკლესიაში მგალობლებისთვის; 3. სავარჯიშო მუსიკალური პიესა; 4. ჟურნალ-გაზეთების ერთობლიობა; 5. უმაღლესი თანამდებობის პირი ზოგ სახელმწიფოში; 7. ასო „ფ“-ს სახელწოდება; 11. რისამე სასაცილოდ გამოხატვა; 15. „... ორისთვის“; 16. გრძელი დასაკეცი დანა ესპანეთში; 17. გასანათებელი მოწყობილობა; 18. მაგარმერქნიანი საშუალო სიმაღლის ხე; 20. ქალაქი იაპონიაში; 22. ემილ ...




*შეადგინა ოლივერ კოხიამ*